რუსუდანი ტოპეშაშვილი

საატესტატო გამოცდები - რისკები და შესაძლებლობები

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა ტაბატაძე

ასოცირებული პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივლისი, 2019

საავტორო უფლება 2019 რუსუდანი ტოპეშაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით რუსუდანი ტოპეშაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **„საატესტატო გამოცდები - რისკები და შესაძლებლობები“** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: რუსუდანი ტოპეშაშვილი

დასახელება: „საატესტატო გამოცდები - რისკები და შესაძლებლობები“

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: __/__/__

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას

ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

იმ დროს როდესაც, ზოგადი განათლება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია, ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში ამ მიმართულებით პრობლემების იდენტიფიცირებას, შემდგომ კი, ქმედითი ნაბიჯების დაგეგმვა-განხორციელებას.

საქართველოს განათლების სისტემაში ბოლო პერიოდში განხორცილედა რეფორმები ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. მიმდინარე რეფორმების დროს აქტუალურია სკოლის გამოსაშვები გამოცდების საკითხი.

წინასწარი დაშვებით, ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად გამართული შეფასების სისტემა ერთ-ერთ მნიშნელოვან ფაქტორად მიიჩნევა.

განხილულია **საკითხის აქტუალობა,** რაც ერთი მხრივ განპირობებულია იმით, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდები ახალი გაუქმებულია და მეორე მხრივ, ეს საკითხი არ არის შესწავლილი არც პრაქტიკული და არც სამეცნიერო თვალსაზრისით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოავლინოს რისკ ფაქტორები და პოზიტიური შესაძლებლობები, რაც დაკავშრებულია საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან.

კვლევის **სამიზნე ჯგუფს** წარმოადგენენ საჯარო სკოლის დირექტორები, მასწავლებლები და ასევე რესურსცენტრის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

კვლევისთვის გამოყენებულია **თვისებრივი მეთოდები:** ჩაღრმავებული ინტერვიუები და შინაარსის ანალიზი(გაანალიზებულია 2011-2018 წლების საატესტატო გამოცდების შედეგების სტატისტიკური მონაცემები). კვლევის შედეგების გაანალიზება მოხდა **კოდირების მეთოდით.**

კვლევამ გამოავლინა, რომ მიუხედავად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებისა საატესტატო გამოცდების გაუქმების შესახებ, რესპოდენტთა უმრავლესობა გამოცდების გაუქმების შემდეგ მაინც საუბრობს გამოცდების აუცილებლობაზე, თუმცა არა იმ ფორმატით, რა ფორმატითაც ტადებოდა საატესტატო გამოცდები საქართველოში, რადგან წინარე გამოცდები არ იყო თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან.

ვფიქრობთ, აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოკვეთილია ის ძირითადი მიმართულებები, რომელზეც სახელმწიფო უწყებებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანი და აქტუალური იქნება დარგის სპეციალისტებისათვის, რადგან ნაშრომში ჩამოყალიბებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემაში სწავლა-სწავლების

დროს პრობლემების გამომწვევი მიზეზები. აღნიშნული ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მკვლევარის მიერ, რომელიც გამოიკვლევს იმ საკითებს, რომელიც ეხება საატესტატო გამოცდების გაუქმებას. დასკვნის სახით, მოცემულია რესპოდენტთა რეკომენდაციები რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ნაშრომის ერთ-ერთ ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს.

Resume

While General Education is one of the priorities of the country, I think, that in Georgia identifying problems in this direction, and then planning and implementing efficient steps, is of a particular importance.

In recent years the reforms for providing quality of education have been implemented in Georgian education system. During the ongoing reforms the issue of school exit exams is actual.

With a preliminary assertion, the assessment system for quality education is considered to be one of the important factor.

In the present paper is discussed the **actuality of the issue**. One the one hand it is conditioned by the newly canceled exams and on the other hand the issue has not been studied either in practical or scientific terms.

The aim of the research is to identify risk factors and positive opportunities which are related to the school exit exams.

The target group of research is directors and teachers of public schools, Resource Center representatives from different regions of Georgia.

Qualitative method, in particular, in-depth interviews and content analysis, (The statistical data of 2011-2018 exam results are analyzed) is used for the study. The results of the survey were analyzed by the coding method.

The study revealed, that despite the decision of the Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia about the abolishment of exit exam, The majority of respodents still speak about the necessity of exams in different format, because the previous exams were not in conformity with the goals of National Curriculum.

The research identified the main directions for which the state agencies and government should focus to improve the Assessment system of General Education.

We believe that the present paper will be important and relevant to field specialists, because the paper is based on the reasons for the problem of learning in the general educational system. It can also be used by other researchers to examine issues related to the abolishment of exit exams.

As a conclusion, the recommendations of the respondents are given related to a number of issues, which can be considered as one of the values of the work.

შინაარსი

შესავალი 1

1. ლიტერატურის მიმოხილვა 4

1.1 საატესტატო გამოცდები და განათლების ხარისხი 4

1.2. სკოლის გამოსაშვები გამოცდები საქართველოში 7

1.3. 2011-2018 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები 11

2. კვლევის მეთოდოლოგია 20

2.1. კვლევის ლიმიტები, დაბრკოლებები და რისკები 22

2.2. ეთიკური საკითხები 23

2.3. კვლევის მიზანი და ამოცანები 23

3. კვლევის შედეგები 25

3.1. საატესტატო გამოცდები - შეფასების მექანიზმი 25

3.2. საატესტატო გამოცდები და სასწავლო პროცესი 35

3.3. საატესტატო გამოცდები და რეპეტიტორების ინსტიტუტი 43

3.4. მოსაზრებები საატესტატო გამოცდების გაუქმების დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით 46

3.5. საატესტატო გამოცდები და სასკოლო შეფასებები - უმაღლესში მოხვედრის შესაძლებლობა 49

3.6. ხედვები ანგარიშვალდებულებასა და განათლების ხარისხთან დაკავშირებით 53

დასკვნა 59

რეკომენდაციები 63

გამოყენებული ლიტერატურა 65

დანართი №1 68

შესავალი

საქართველოს განათლების სისტემაში ბოლო პერიოდში განხორციელდა რეფორმები ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. იყო შემთხვევები, როდესაც რეფორმები წარმატებით განხორციელდა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში ვერ მოხერხდა ცალკეული შედეგების სისტემატიზაცია და შემდგომში განვითარება, (მაჩაბელი, 2019).

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დროს აქტუალურია სკოლის გამოსაშვები გამოცდების საკითხი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №48/ნ ბრძანებით, რომელიც ეხებოდა

გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცებას, გამოცდის სამართლებრივ შედეგს, 2011 წლის 7 აპრილიდან წარმოადგენდა მოსწავლეებისთვის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მიცემის უფლება. თუმცა, 2019 წლის 8 მაისს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №87/ნ ბრძანების საფუძველზე საატესტატო გამოცდები გაუქმდა.

ლელა ჩახაიას კვლევის ანგარიშში **„გამოსაშვები გამოცდები და ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში“**, ნათქვამია, რომ გამოსაშვები გამოცდების დანერგვა ითვალისწინებდა ორ ძირითად მიზანს: სკოლაში მოსწავლეთა დასწრების გაზრდასა და სკოლების ანგარიშვალდებულების გაზრდას, რაც თავისთავად ზრდის ხარისხს. გარდა ამისა, კვლევაში საუბარია გამოწვევებზე, როგორიცაა სკოლის როლის შესუსტება და რეპეტიტორთა გაძლიერება, რის პასუხადაც დაიგეგმა საატესტატო გამოცდების შემოღება. (ჩახაია, 2019). თუმცა, დღეს არსებული მდგომარეობიდან ჩანს, რომ ვითარება ამ კუთხით ისევ პრობლემურია.

წინასწარი დაშვებით, ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად გამართული შეფასების სისტემა ერთ-ერთ მნიშნელოვან ფაქტორად

მიიჩნევა. ასევე მნიშნელოვანია მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისათვის და სწავლა-სწავლების გაუმჯობესებისათვის.

უნდა აღინიშოს, რომ გარდა კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულებისა, განათლების სისტემის შესაბამის ხარისხზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას აკისრებს ასოცირების შეთანხმებაც. ასოცირების შეთანხმების მე-16 თავი ეხება განათლების საკითხებში თანამშრომლობას. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ იზრუნოს განათლების ყველა საფეხურის ხარისხის ამაღლებაზე, მათ შორის ზოგადი განათლების ხარისხზე.

ლიტერატურის მიმოხილვა ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო სამეცნიერო სტატიების გაანალიზებას, სადაც საუბარია იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საატესტატო გამოცდებს. ასევე გაანალიზებულია 2011-2018 წლების საატესტატო გამოცდების შედეგების სტატისტიკური მონაცემები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოავლინოს რისკ ფაქტორები და პოზიტიური შესაძლებლობები, რაც დაკავშრებულია საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან.

საკითხის აქტუალობა ერთი მხრივ განპირობებულია იმით, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდები ახალი გაუქმებულია და მეორე მხრივ, ეს საკითხი არ არის შესწავლილი არც პრაქტიკული და არც სამეცნიერო თვალსაზრისით.

კვლევის **სამიზნე ჯგუფს** წარმოადგენენ საჯარო სკოლის დირექტორები, მასწავლებლები და ასევე რესურსცენტრის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

კვლევისთვის გამოყენებულია **თვისებრივი მეთოდი** - ჩაღრმავებული ინტერვიუები და შინაარსის ანალიზი. გაანალიზებულ იქნა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია 2011-2018 წლების საატესტატო გამოცდების შედეგების შესახებ.

კვლევის რეპოდენტებს წარმოადგენდნენ ქალები და მამაკაცების მცირე ნაწილი საშუალოდ 28-დან 70 წლამდე. გამოკითხულები იყვნენ მცირეკონტიგენტიანი, დიდკონტიგენტიანი, ქართულენოვანი, არაქართულენოვანი, ორსექტორიანი, მაღალმთიანი, ქალაქის და სოფლის როგორც საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის, უცხოური ენების, სახელმწიფო ენის საბაზო და საშუალო საფეხურის, ასევე დაწყებითი კლასების პედაგოგები. კვლევის მონაწილეები საქართველოს მაშტაბით სხვადასხვა რეგიონიდან შეირჩნენ სრული სურათის დასანახად.

კვლევის შედეგების გაანალიზება მოხდა **კოდირების მეთოდით.** მიღებული მონაცემების კოდირება შემდეგი საკითხის ქვეშ განხორციელდა: საატესტატო გამოცდები - შეფასებისა მექანიზმი,მოსაზრებები საატესტატო გამოცდების გაუქმების დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით, საატესტატო გამოცდები და რეპეტიტორების ინსტიტუტი, მოსაზრებები საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით, საატესტატო გამოცდები და სასკოლო შეფასებები - უმაღლესში მოხვედრის შესაძლებლობა, ხედვები ანგარიშვალდებულებასა და განათლების ხარისხთან დაკავშირებით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანი და აქტუალური იქნება დარგის სპეციალისტებისათვის, რადგან ნაშრომში ჩამოყალიბებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემაში სწავლა-სწავლების დროს პრობლემების გამომწვევი მიზეზები და ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რესპოდენტთა რეკომენდაციები რიგ საკითებთან დაკავშირებით.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 საატესტატო გამოცდები და განათლების ხარისხი

ლიტერატურის მიმოხილვა ძირითადად ეფუძნება საერთაშრისო სამეცნიერო სტატიების გაანალიზებას, სადაც საუბარია იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საატესტატო გამოცდებს. ასევე გაანალიზებულია 2011-2018 წლების საატესტატო გამოცდების სტატისტიკური მონაცემები.

განხილულია სხვადასხვა მოსაზრებები გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშირებით. ზოგს მიაჩნია, რომ გამოსაშვები გამოცდები მნიშნელოვანია - ანგარიშვალდებულების მექანიზმია, რაც თავისთავად ზრდის ხარისხს. ნაწილი კი თვლის, რომ არ არის ეფექტური მექანიზმი. გამოცდები შესაძლოა ზრდის ხარისხს, მაგრამ კლავს განათლების სისტემის მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებიც არ იზომება მხოლოდ აკადემიური ცოდნით. ესენია: შემოქმედებითი აზროვნება, კრეატიულობა, პრეზენტაციის უნარი, კომუნიკაციის უნარები და სასკოლო ცხოვრება ხდება გამოცდებზე ორიენტირებული და არა იმ უნარების განვითარებაზე, რომლებიც არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული.

გამოცდების მნიშვნელობაზე საუბრისას და ასევე მის კავშრზე განათლების ხარისხთან, მნიშნელოვანია განათლების სფეროს წამომადგენლებისა და სხვადასხვა სტატიებში მკვლევარების მიერ გამოთქმული მოსაზრებების განხილვა.

პროფესორ შალვა ტაბატაძის აზრით, ***„ეს არის მარტივი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოიყენო სხვადასხვა მიზნით. გააჩნია რა დანიშნულებას და მიზანს დაუსახავ. კარგიც არის და ცუდიც, აქვს მინუსებიც და პლიუსებიც. იმის თქმა, რომ გამოცდები განათლების ხარისხს აფუჭებს და ან, პირიქით, ეს კარგი ინსტრუმენტია ხარისხის გასაუმჯობესებლად, გაზვიადებულია.“*** (ტაბატაძე, 2019).

განათლების ექსპერტ, თამარ ჯაყელს, გამოცდის მნიშვნელობაზე საუბრისას ამერიკის მეცნიერის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ჰოვარდ გარდნერის შეფასება მოჰყავს ამერიკის სკოლებში გამოცდის მნიშვნელობაზე: ***„ამერიკის სკოლებს ერთი მიზანი ამოძრავებთ: ტესტების შედეგების გაუმჯობესება. გამოცდა აფასებს არა იმ ცოდნას, რომელსაც სკოლა აძლევს მოსწავლეს, პირიქით: სკოლა აძლევს მოსწავლეებს იმ ცოდნას, რომელიც გამოცდაზე ფასდება.“*** (ჯაყელი, 2013).

წიგნში **„The Importance of External Examination In Education"** განხილულია სხვადასხვა მიზეზები გამოცდების მნიშვნელობაზე. ერთ-ერთ დადებით მხარედ მიჩნეულია გამოცდები, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი და ასევე მნიშნელოვანი უკუკავშირი სასწავლო კურსების ეფექტურობასა და სწავლებაზე. (Stephen P. Heyneman, 2008).

სტატიაში **"Are National Exit Exams Important for Educational Efficiency"** გაანალიზებულია ეროვნული გამოსაშვები გამოცდების გავლენა განათლების ხარისხზე. თეორიულ საფუძველზე განხილულია, რომ ასეთი გამოცდები აუმჯობესებს სკოლის მიღწევებს განსაკუთრებით საგამოცდო საგნებში. სტატიაში მოცემულია რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია სკოლის ხარისხთან დაკავშრებული გადაწყვეტილებების მიღების დროს უფრო მეტად უნდა ფოკუსირდნენ აკადემიურ მიღწევებზე. გამოსაშვები გამოცდების უარყოფით მხარედ განხილულია იმ ტენდენციის ხელის შეწყობა, რაც უფრო მეტად ორიენტირებულია ფაქტების დასწავლაზე, ვიდრე შინაარსის გააზრებაზე. (Bishop J.H, 1999).

სტატიაში **„Assessing the Effects of High School Exit Examinations"**-ში განხილულია, სკოლის გამოსაშვები გამოცდების გავლენა მოსწავლეთა უმრავლესობაზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოსაშვები გამოცდების პოლიტიკა მიზნად ისახავს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას და შესაბამისად სწავლების ხარისხის, სტატიაში ასევე საუბარია გამოცდების

უარყოფით შედეგებზე. ავტორები განიხილავენ მოსალოდნელი შედეგების სხვადასხვა მხარეებს, რაც კავშირშია მოსწავლეთა შედეგებთან, სკოლის დასრულებასთან, საშუალო სკოლის შემდგომ განათლებასთან და სკოლის პასუხისმგებლობასთან. შემდგომში განხილული მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს აღნიშნულ საკითხებზე მოაქვს ძალიან ცოტა სარგებელელი და გამოცდები ასოცირდება ყველაზე სუსტი მოსწავლის ღირებულებებთან და შედეგებთან. (Holme J.J, Meredith P. Richards, Jo Beth Jimerson, Rebecca W. Cohen (2010).

სტატიაში, **„The Effect of Central Exit Examinations on Student Achievement: Quasi-Experimental Evidence from Timss Germany“** გამოყენებულია გერმანიის სხვადასხვა რეგიონის საშუალო განათლების სისტემა გამოსაშვები გამოცდების გავლენის შესაფასებლად მოსწავლის მიღწევებზე. სისტემის შეფასების შედეგად ნაჩენებია, რომ ფედერალურ შტატებში მოსწავლეები, რომლებიც აბარებენ ცენტრალიზებულად გამოსაშვებ გამოცდებს თავიაანთი შედეგებით ბევრად წინ უსწრებენ იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ აბარებენ ამ გამოცდებს. სტატიაში ასევე აღწერილია გამოსაშვები გამოცდების დადებითი გავლენა მოსწავლეთა შედეგებისა და სწავლების ხარისხის ზრდასთან მიმართებით. (Kerstin J, Schneider F. 2005).

კვლევაში, **„Central exit examinations increase performance… but take the fun out of mathematics”,** შესწავლილია ცენტრალიზებული გამოსაშვები გამოცდების გავლენა მოსწავლეთა შედეგებზე და გამოვლენილია ძალიან ცოტა დადებითი მხარეები. კვლევაში ასევე შესწავლილია მასწავლებელთა დამოკიდებულება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშრებით. მათი მთავარი მიდგომა გამოცდებზე არის ის, რომ ზრდიან საშინაო დავალებების რაოდენობას და ამოწმებენ და განიხილავენ უფრო ხშირად. ეს თავისთავად ზრდის მოსწავლეთა იძლებით დამოკიდებულებას და მოსწავლეთა უარყოფით დამოკიდებულებას სწავლისადმი. შეიძლება ითქვას, რომ

კვლევის თანახმად გამოცდების დადებითი მხარეა მასწავლებელთა მოტივაციის და პასუხისმგებლობის გაზრდა, თუმცა უარყოფითია - მოსწავლეთა სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. (Kerstin J, Schneider F. 2010).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულ კვლევებსა და სტატიებში საუბარია გამოცდების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე. გამოცდების დადებით მხარედ მიჩნეულია გამოცდები, როგორც სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, მნიშნელოვანი უკუკავშირი სასწავლო კურსების ეფექტურობასა და სწავლებაზე. გამოცდების დადებით მხარედ ასევე მიჩნეულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება საგამოცდო საგნებში, ასევე მასწავლებელთა მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გაზრდა.

გამოსაშვები გამოცდების უარყოფით მხარედ განხილულია ორიენტირება ფაქტების დასწავლაზე, ვიდრე შინაარსის გააზრებაზე. ასევე მასწავლებელთა დამოკიდებულება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშრებით. საშინაო დავალებების რაოდენობის გაზრდით მიჩნეულია, რომ მასწავლებლები ზრდიან მოსწავლეთა იძლებით და უარყოფით დამოკიდებულებას სწავლისადმი.

1.2.სკოლის გამოსაშვები გამოცდები საქართველოში

2010 წელს საქართველოს მთავრობამ სკოლებში საატესტატო გამოცდების შემოღების გადაწყვეტილება მიიღო. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა - რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო და საქართველოს ყველა სკოლაში ერთდროულად, ცენტრალიზებულად ჩატარებულიყო სკოლის გამოსაშვები (საატესტატო) გამოცდები.

როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი განმარტავს, ქაღალდზე ასეთი გამოცდის ჩატარება და პროცესის ადმინისტრირება ყველა სკოლაში მარტივი არ იყო. „***ამის გაკეთება 8 საგანში 2000 სკოლაში ქაღალდის ტესტებით, შემდეგ წამოღება, გასწორება, საშინელი ამოცანა იყო. გადავწყვიტეთ გაგვეკეთებინა კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტი“.*** გაკეთდა computer adaptive testing, იგივე კომპიუტერზე ადაპტირებულ ტესტირება – სახელით „კატი“. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების საინტერესო ალგორითმზე: ***„აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირებისთვის ცენტრმა შეიმუშავა ძალიან საინტერესო ალგორითმი, ძალიან დიდი ადამიანური რესურსი დაიხარჯა, ძალიან ნიჭიერი ადამიანები მუშაობდნენ ამაზე.“***

კატის საგამოცდო სისტემის ალგორითმის ფუძემდებლებზე და საინტერესო ალგორითმის შემუშავებაზე Aris.ge განათლებასთან 2015 წლის ინტერვიუში საუბრობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი: ***„კატის ქართული ალგორითმის ფუძემდებლები არიან: მიხეილ მანია, დავით გაბელაია, მამუკა ჯიბლაძე... დიდი ხნის განმვლობაში ვთანამშრომლობდით ჰოლანდიური კომპანია „სიტო“– სთან და პირველი შეხებაც ამ სისტემასთან – computer adaptive testing სწორედ „სიტოში“ გვქონდა.“*** (წივწივაძე, 2015).

2011 წლის 23 მაისს კი ქვეყანაში პირველი, კომპიუტერზე ადაპტირებული გამოსაშვები გამოცდები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი დირექტორის, მაია მიმინოშვილის განმარტებით ხარვეზების გარეშე ჩატარდა. ***„ყველაფერი კარგად წარიმართა. ის, რაც ძალიან ელემენტარული ხარვეზი იყო, შეეხებოდა რამდენიმე სკოლაში ინტერნეტის სიჩქარეს, ნოუტბუკის მწყობრიდან გამოსვლას.“***(მჭედლიშვილი, 2011).

გამოცდების დაწყებიდან 7 წლის შემდეგ, 2019 წელს სკოლის საატესტატო გამოცდები (CAT) გაუქმდა. თავდაპირველად გამოსაშვები გამოცდები მე-11 კლასელებისთვის მოიხსნა. თუმცა, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ეს ცვლილება მე-12 კლასელებსაც შეეხო.

გამოცდების გაუქმებასთან დაკავშრებით მნიშნელოვანია საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ გაკეთებული კომენტარი. პრემიერი განმარტავს, რომ საჭიროა ძლიერი, განათლების მიღებაზე ორიენტირებული სკოლა და არა გამოცდების მომზადებაზე ორიენტირებული მომავალი თაობა. ***"ჩვენ გვჭირდება ძლიერი და დამოუკიდებელი სკოლა, რომელიც ორიენტირებული იქნება განათლების მიღებაზე და არა იმაზე, რომ გამოცდებისთვის მოვამზადოთ ჩვენი მომავალი თაობა. განათლების მიღება სკოლაში – ეს არის ყველაზე დიდი პრიორიტეტი. შესაბამისად, ჩვენი მიზანია, რომ სკოლა და მისი ფუნდამენტი გავაძლიეროთ."*** (სკოლის გამოსაშვები და ეროვნული გამოცდები. რა სიახლეებს გეგმავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი? 2019).

აღსანიშნია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის კომენტარი გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით. გამოცდების გაუქმება ახნილია გამოცდების რაოდენობის გაზრდით, გამოცდებისთვის მომზადებაზე ორიენტირებითა და შესაბამისად სკოლის როლის დაკნინებით: ***„პირველი გამოწვევა არის ის, რომ გაზრდილია გამოცდების რაოდენობა და, ფაქტობრივად, იმ შედეგზე, რაც გვინდა რომ გვქონდეს, ამ გაზრდილი გამოცდების რაოდენობას ვერ გავყავართ. გამოვლინდა, რომ გამოცდების ამ რაოდენობის გამო მთელი სასწავლო პროცესი გადაერთო გამოცდების მომზადებაზე. სკოლის როლი თანდათან დაკნინდა".*** (2020 წლიდან სკოლაში გამოსაშვები გამოცდები გაუქმდება, 2019).

საინტერესო განსახილველია ოპონენტთა მოსაზრებები საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით. პარლამენტარი გია ჟორჟოლიანი

უარყოფითად მიაჩნია საატესტატო გამოცდების გაუქმება. მას მიაჩნია, რომ ის კომპეტენციის დადასტურების საშუალებაა: ***„საატესტატო გამოცდებს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ეს ადამიანს აძლევს მისი კომპეტენციის დადასტურების საშუალებას, მშობელს ეუბნება რომ მის შვილს აქვს ეს კომპეტენცია და დამსაქმებელს ეუბნება, რომ აქვს კომპეტენცია.“*** (ჟორჟოლიანი, 2019).

საატესტატო გამოცდების გაუქმებას უარყოფითად აფასებს პარლამენტარი სერგო კაპანაძე და მიზეზად მოსწავლეთა დასწრების გაუარესებასა და სწავლების ხარისხის გაუარესებას ასახელებს მაღალ კლასებში: ***„სკოლის გამოსაშვები გამოცდები თუ გაუქმდა, იმ საგნებს, რაც არ სჭირდებათ აღარ ისწავლიან და მე-10 და მე-12 კლასებში საერთოდ აღარ ივლიან მოსწავლეები.“***(ჩადუნელი, 2019).

რაც შეეხება განათლების ექსპერტთა მოსაზრებებს, მათი უმრავლესობა დადებითად აფასებს გამოცდების გაუქმებას. განათლების ექსპერტი, სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, რომ CAT-ის გამოცდები არ იყო მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორი და შესაბამისად გასაუქმებელი იყო. ***„ეს გამოცდები საერთოდ არაფერს არ ამბობდა. ეს გამოცდა იმის ინდიკატორიც არ იყო, კარგი შედეგები გვაქვს სკოლაში, თუ არა. ამიტომ ცხადია, თუ თავის მიზანს არ პასუხობს რაღაც ინსტრუმენტი და თან აფუჭებს სხვა მიზნებსაც, ის აუცილებლად უნდა გაუქმდეს და ეს იყო სამართლიანი.“***(ჯანაშია, 2019).

განათლების ექსპერტი, შალვა ტაბატაძე უარყოფითად აფასებს ოპონენტთა მოსაზრებას, რომელის თანახმადაც გამოცდების წყალობით ბავშვები რაღაც ცოდნას იღებდნენ. მიაჩნია, რომ CAT-ის გამოცდები ცოდნის თვალსაზრისით არაფრისმომცემი იყო და სამართლიანად მიიჩნევს გაუქმებას: ***„ჩვენი გამოცდები არაფრისმომცემი იყო. ამ სისტემაში სახელმწიფო ხარჯავდა ფულს. ყველაზე მეტს ხარჯავდნენ მშობლები. ისინი ამ ფულს არასწორი მიმართულებით ხარჯავდნენ.“*** (ზაკაშვილი, 2019).

საატესტატო გამოცდების გაუქმებას დადებითად აფასებს განათლების მკვლევარი რევაზ აფხაზავა. მისი თქმით, გამოსაშვები გამოცდები დიდი ხანია ვერანაირ ფუნქციას ვერ ასრულებდა. ამის პარალელურად, რევაზ აფხაზავა ფიქრობს, რომ სასკოლო შეფასების სისტემები უნდა განვითარდეს. ***„ეროვნული შეფასება უფრო კომპლექსური უნდა იყოს და მეტ ინფორმაციას უნდა გვაძლევდეს, თუ რას და როგორ სწავლობენ ბავშვები. კატის გამოცდა ვერ გვცემდა პასუხს კითხვაზე, ვინ როგორ სწავლობს. რეალურად, ამ კითხვაზე პასუხი სკოლამ და ეროვნულმა შეფასებამ უნდა გასცეს.“*** (ჩადუნელი, 2019).

კატის საგამოცდო მოდელს უარყოფითად აფასებს და არ მიიჩნევს შეფასების ინსტრუმენტად განათლების ექსპერტი, თამარ მოსიაშვილიც. ***“კატის” შედეგებზე დაყრდნობით ჩვენი განათლების სისტემის შეფასება შეუძლებელია. ანუ, არასერიოზულია ვთქვათ: ბავშვებმა რაღაც იციან კარგად, ან არ იციან. “კატის” მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რა ახსოვთ მოსწავლეებს, ან რა არ ახსოვთ. ეს არ არის შეფასების ინსტრუმენტი.“*** (წივწივაძე, 2014).

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მოსაზრებებიდან, უმრავლესობა CAT -ის საგამოცდო მოდელს უარყოფითად აფასებს რიგი მიზეზებიდან გამომდინარე და მის გაუქმებას სამართლიანად მიიჩნევენ.

1.3. 2011-2018 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები

საატეტსტატო გამოცდების შედეგების დეტალურად გასაანალიზებლად გამოყენებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაცია. შეფასებები ცენტრის ინფორმაციის

თანახმად საგნებისა და რეგიონების მიხედვით სხვადასხვანაირად ნაწილდება.[1]

თბილისის საჯარო სკოლებში 2011 წლის საატესტატო გამოცდებზე, სხვადასხვა საგნებში განსხვავებული მაჩვენებლებია დაფიქსირებული. ბიოლოგიაში 11858 მოსწავლიდან 120-მა მოსწავლემ ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაქსიმალური შეფასება კი მიიღო 809-მა მოსწავლემ. გეოგრაფიაში 11819 მოსწავლიდან 184-მა ვერ დაძლია მინიმალური ზღვარი, 1076-მა მიიღო შეფასება „10“. ინგლისურში 9663 მოსწავლიდან ზღვარი ვერ გადალახა 693-მა, მაქსიმალური შეფასება მიიღო - 16-მა, ისტორია - 11829 მოსწავლიდან ზღვარი ვერ გადალახა - 258-მა, მაქსიმალური შეფასება მიიღო - 33-მა, 11836 მოსწავლიდან მათემატიკაში ზღვარი ვერ გადალახა 1174-მა, მაქსიმალური შეფასება ჰქონდა - 218-ს, ფიზიკა- 11838 მოსწავლიდან ზღვარი ვერ გადალახა 247-მა, მაქსიმალური შეფასება მიიღო - 420-მა, ქართული - 11905 მოსწავლიდან ზღვარი ვერ გადალახა 686-მა, შეფასება ათი - 15-მა და ქიმიაში 12110 გავიდა გამოცდაზე, 279-მა ვერ გადალახა ზღვარი და მაქსიმალური შეფასება მიიღო 617-მა მოსწავლემ.

აღნიშნული შეფასებებიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი მაქსიმალური შეფასებები მოსწავლეებს მიღებული აქვთ გეოგრაფიაში, ყველაე მეტი ჩაჭრილი მოსწავლეა მათემატიკაში, ყველაზე ნაკლები ჩაჭრილი - ბიოლოგიაში.

ცხრილი №1. 2011 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები თბილისში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოვიდა გამოცდაზე	ვერ დაძლია მინიმალური ზღვარი	მიიღო 10

[1] ინფორმაცია მოძებულია 2019 წლის 16 მარტს შესული №102110 კორესპონდენციის პასუხად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოგზავნილი ინფორმაციით ნანა გაფრინდაშვილის მიერ

თბილისი	2011	ბიოლოგია	11858	120	809
თბილისი	2011	გეოგრაფია	11819	184	1076
თბილისი	2011	ინგლისური	9663	693	16
თბილისი	2011	ისტორია	11829	258	33
თბილისი	2011	მათემატიკა	11836	1174	218
თბილისი	2011	ფიზიკა	11838	247	420
თბილისი	2011	ქართული	11905	686	15
თბილისი	2011	ქიმია	12110	279	617

რაც შეეხება 2018 წლის საატესტატო გამოცდების შედეგებს თბილისში შემდეგნაირად ნაწილდება: ბიოლოგია - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა 11966 მოსწავლიდან 342-მა, მაქსიმალური შეფასება მიიღო - 809-მ, გეოგრაფია - ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 11969 მოსწავლიდან 34 - მა, მაქსიმალური შეფასება მიიღო - 186-მა, ინგლისურში - ზღვარი ვერ გადალახა 10852 მოსწავლიდან 207-მა, მაქსიმალური შეფასება მიიღო - 1499-მა, ისტორიაში 11668 მოსწავლიდან ზღვარი ვერ გადალახა - 194-მა, მაქსიმალური ქულა მიიღო - 89-მ, მათემატიკაში - ზღვარი ვერ გადალახა 12074-დან 614-მა, მაქსიმალური შეფასება მიიღო - 376-მა, ფიზიკა - ზღვარი 11962 მოსწავლიდან ვერ გადალახა - 767-მა, მაქსიმალური შეფასება მიიღო - 57-მა, ქართული - 11559 მოსწავლიდან ზღვარი ვერ გადალახა -52-მა, მაქსიმალური შეფასება დააფიქსირა - 135-მა, ქიმიაში კი 11945 მოსწავლიდან 337-მა მოსწავლემ ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, 194-მა კი მიიღო მაქსიმალური შეფასება.

შეფასებებიდან ჩანს, რომ 2018 წელს ყველაზე მეტი მაქსიმალური შეფასება დაფიქსირებულია ინგლისურსა და ბიოლოგიაში, ინგლისურის შედეგები ბევრად გაუმჯობესებულია 2011 წელთან შედარებით. ყველაზე ცოტა ჩაჭრილი არის გეოგრაფიასა და ქართულში, ჩაჭრილების მაქსიმალური რაოდენობა 2018 წლის მონაცემებშიც მათემატიკაშია.

ცხრილი №2. 2018 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები თბილისში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოცდაზე გავიდა	ვერ დაძლია	მიიღო 10
თბილისი	2018	ბიოლოგია	11966	342	809
თბილისი	2018	გეოგრაფია	11969	34	186
თბილისი	2018	ინგლისური	10852	207	1499
თბილისი	2018	ისტორია	11668	194	89
თბილისი	2018	მათემატიკა	12074	614	376
თბილისი	2018	ფიზიკა	11962	767	57
თბილისი	2018	ქართული	11559	52	135
თბილისი	2018	ქიმია	11945	337	194

განსხვავებით თბილისისგან, კახეთის რეგიონში მოსწავლეთა ბევრად ნაკლები რაოდენობაა. 2011 წელს მაქსიმალური შეფასება „10“ არ ფიქსირდება ქართულსა და ინგლისურში, და სწორედ ინგლისურში, ქართულსა და მათემატიკაშია ჩაჭრილთა დიდი მაჩვენებელი. ყველაზე მეტმა მოსწავლემ კახეთშიც თბილისის მსგავსად მათემატიკაში ვერ დაძლია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ცხრილი №3. 2011 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები კახეთში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოცდაზე გავიდა	ვერ დაძლია	მიიღო 10
კახეთი	2011	ბიოლოგია	3519	141	113
კახეთი	2011	გეოგრაფია	3507	240	132
კახეთი	2011	ქიმია	3575	225	100
კახეთი	2011	ფიზიკა	3535	202	37
კახეთი	2011	ქართული	3533	631	
კახეთი	2011	მათემატიკა	3532	757	21
კახეთი	2011	ინგლისური	2141	558	
კახეთი	2011	ისტორია	3524	335	3

2018 წლის მონაცემების თანახმად, მაქსიმალური შეფასება არ ფიქსირდება ფიზიკაში, ჩაჭრილთა ყველაზე დიდი მაჩვენებელი არის მათემატიკაში, ინგლისურსა და ფიზიკაში. მსგავსად 2011 წლისა, ჩაჭრილთა ყველაზე

მაღალი მაჩვენებელი 2018 წელსაც მათემატიკაშია. მაქსიმალური შეფასებები - ბიოლოგიაშია.

ცხრილი №4. 2018 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები კახეთში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოცდაზე გავიდა	ვერ დააძლია	მიიღო 10
კახეთი	2018	ბიოლოგია	2553	198	132
კახეთი	2018	გეოგრაფია	2554	53	26
კახეთი	2018	ქიმია	2539	224	33
კახეთი	2018	ფიზიკა	2547	395	
კახეთი	2018	ქართული	2739	68	24
კახეთი	2018	მათემატიკა	3072	419	16
კახეთი	2018	ინგლისური	2930	466	71
კახეთი	2018	ისტორია	2850	197	9

მოსწავლეთა რაოდენობა შიდა ქართლსა და კახეთში დაახლოებით ერთნაირია. განსხვავებით კახეთისგან, აქ ყველა საგანში ფიქსირდება მაქსიმალური შეფასებები, თუმცა ინგლისურსა და ქართულში მხოლოდ 1-1. თითქმის მსგავსი ვითარებაა ამ კუთხით. ყველაზე მეტი ჩაჭრილი - მათემატიკაშია. მაქსიმალური შეფასებები გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში ფიქსირდება.

ცხრილი №5. 2011 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები შიდა ქართლში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოცდაზე გავიდა	ვერ დაძლია	მიიღო 10
შიდა ქართლი	2011	ბიოლოგია	2948	76	125
შიდა ქართლი	2011	გეოგრაფია	2937	139	134
შიდა ქართლი	2011	ქიმია	2961	119	113
შიდა ქართლი	2011	ფიზიკა	2940	137	52
შიდა ქართლი	2011	ქართული	2939	365	1
შიდა ქართლი	2011	მათემატიკა	2952	519	42
შიდა ქართლი	2011	ინგლისური	1562	319	1
შიდა ქართლი	2011	ისტორია	2947	141	2

2018 წელს მაქსიმალურ შეფასებათა რაოდენობა გაზრდილია, მხოლოდ ფიზიკაში ფიქსირდება შედარებით დაბალი მაჩვენებელი. ჩაჭრილთა რაოდენობა ყველაზე მეტი მათემატიკაშია, ასევე ინგლისურსა და ფიზიკაში. მაქსიმალური შეფასებები ყველაზე მეტი - ბიოლოგიაშია.

ცხრილი №6. 2018 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები შიდა ქართლში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოცდაზე გავიდა	ვერ დაძლია	მიიღო 10
შიდა ქართლი	2018	ბიოლოგია	2910	203	99
შიდა ქართლი	2018	გეოგრაფია	2910	51	22
შიდა ქართლი	2018	ქიმია	2905	214	22
შიდა ქართლი	2018	ფიზიკა	2908	426	5
შიდა ქართლი	2018	ქართული	2853	58	23
შიდა ქართლი	2018	მათემატიკა	2952	519	42
შიდა ქართლი	2018	ინგლისური	3024	458	77
შიდა ქართლი	2018	ისტორია	2910	137	22

შიდა ქართლში 2011 წელს საატესტატო გამოცდებში მოსწავლეთა მიღებული შედეგებიდან იკვეთება, რომ ყველაზე მეტი ჩაჭრილი მოსწავლე იყო ინგლისურში, მათემატიკასა და ქართულში. ყველაზე მეტი მაქსიმალური შეფასებები კი მოსწავლეებს ჰყავთ გეოგრაფიაში. ქართულსა და ინლისურში მხოლოდ ერთ-ერთი მაქსიმალური შეფასებაა მიღებული. თითქმის მსგავსი ვითარებაა სხვა რეგიონებთან შედარებით.

ცხრილი №7. 2011 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები ქვემო ქართლში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოცდაზე გავიდა	ვერ დაძლია	მიიღო 10
ქვემო ქართლი	2011	ბიოლოგია	2977	117	129
ქვემო ქართლი	2011	გეოგრაფია	2873	163	217
ქვემო ქართლი	2011	ქიმია	3165	155	136
ქვემო ქართლი	2011	ფიზიკა	2914	164	75
ქვემო	2011	ქართული	2981	425	1

ქართლი					
ქვემო ქართლი	2011	მათემატიკა	2904	562	45
ქვემო ქართლი	2011	ინგლისური	2304	680	1
ქვემო ქართლი	2011	ისტორია	2900	211	6

შედეგები მკვეთრად არ იცვლება 2018 წელსაც. ყველაზე მეტი ჩაჭრილი არის ინგლისურში, ფიზიკასა და მათემატიკაში. განსხვავებით 2011 წლისგან, ქართულის გამოცდის შეფასებები გაუმჯობესებულია და ნაკლები ჩაჭრილი მოსწავლეები ფიქსირდება 2018 წელს. ყველაზე მეტი მაქსიმალური შეფასებები მოსწავლეებს ჰყავთ ბიოლოგიაში.

ცხრილი №8. 2018 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები ქვემო ქართლში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოცდაზე გავიდა	ვერ დაძლია	მიიღო 10
ქვემო ქართლი	2018	ბიოლოგია	2415	173	134
ქვემო ქართლი	2018	გეოგრაფია	2417	39	38
ქვემო ქართლი	2018	ქიმია	2408	164	26
ქვემო ქართლი	2018	ფიზიკა	2414	300	4
ქვემო ქართლი	2018	ქართული	2320	66	61
ქვემო ქართლი	2018	მათემატიკა	2506	266	47
ქვემო ქართლი	2018	ინგლისური	3192	465	104
ქვემო ქართლი	2018	ისტორია	2360	95	27

წინა განხილული რეგიონებისგან განსხვავებით სამცხე-ჯავახეთში შედარებით ნაკლებია მოსწავლეთა რაოდენობა. რაც შეეხება 2011 წლის საატესტატო გამოცდების შედეგებს, ჩაჭრილთა მაქსიმალური რაოდენობა აქაც მათემატიკაშია დაფიქსირებული, ასევე ინგლისურსა და ქართულში. მოსწავლეებს მაქსიმალური შეფასებები არ ჰყავთ ინგლისურსა და

ისტორიაში. სხვა საგნებთან შედარებით მეტი მაქსიმალური შეფასებებია ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში. შედარებით ნაკლები ჩაჭრილთა რაოდენობაა ამავე საგნებში.

ცხრილი №9. 2011 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები სამცხე-ჯავახეთში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოცდაზე გავიდა	ვერ დაძლია	მიიღო 10
სამცხე-ჯავახეთი	2011	ბიოლოგია	1180	48	26
სამცხე-ჯავახეთი	2011	გეოგრაფია	1178	90	36
სამცხე-ჯავახეთი	2011	ქიმია	1199	82	25
სამცხე-ჯავახეთი	2011	ფიზიკა	1181	72	11
სამცხე-ჯავახეთი	2011	ქართული	1188	226	1
სამცხე-ჯავახეთი	2011	მათემატიკა	1193	259	4
სამცხე-ჯავახეთი	2011	ინგლისური	710	172	
სამცხე-ჯავახეთი	2011	ისტორია	1190	116	

2018 წლის შედეგების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მინიმალური ზღვარი ყველაზე მეტმა მოსწავლემ ვერ გადალახა მათემატიკაში, ინგლისურსა და ფიზიკაში. შედეგები მკვეთრად გაუმჯობესებულია ქართულში. 1000 მოსწავლიდან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა მხოლოდ 24-მა, მაშინ როცა 2011 წელს 1188 მოსწავლედან - 226-მა. შედარებით ნაკლები მოსწავლეა ჩაჭრილი გეოგრაფიაში, თუმცა მაქსიმალური შედეგების მაჩვენებელი დაბალია.

ცხრილი №10. 2018 წლის საატესტატო გამოცდების შედეგები სამცხე-ჯავახეთში

რეგიონი	წელი	საგანი	გამოცდაზე გავიდა	ვერ დაძლია	მიიღო 10
სამცხე-ჯავახეთი	2018	ბიოლოგია	917	49	28
სამცხე-ჯავახეთი	2018	გეოგრაფია	917	7	5
სამცხე-ჯავახეთი	2018	ქიმია	917	52	3
სამცხე-ჯავახეთი	2018	ფიზიკა	917	113	1
სამცხე-ჯავახეთი	2018	ქართული	1000	24	7
სამცხე-ჯავახეთი	2018	მათემატიკა	1138	117	6
სამცხე-ჯავახეთი	2018	ინგლისური	1126	143	22
სამცხე-ჯავახეთი	2018	ისტორია	1029	53	2

განხილული შედეგების საფუძველზე, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთ განხილულ რეგიონში ჩაჭრილთა მაქსიმალური რაოდენობა ფიქსირდება მათემატიკაში. გარდა მათემატიკისა, მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ აქვს გადალახული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ინგლისურსა და ფიზიკაში. მაქსიმალური შეფასებები კი ძირითადად გეოგრაფიასა და ბიოლოგიაშია.

ზემოთ განხილულია იმ რეგიონების სტატისტიკური მონაცემები, რომელი რეგიონის წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა ჩატარებულ თვისობრივ კვლევაში. რაც შეეხება 2011-2018 წლებში ჩატარებული საატესტატო გამოცდების ზოგად მაჩვენებლებს, მთელ საქართველოში შემდეგნაირია:

ცხრილი №11. მე-12 კლასის სკოლის გამოსაშვები გამოცდები 2011- 2018

წელი	რეგისტრირებული იყო	მონაწილეობდა გამოცდებში	წარმატებით დაძლია გამოცდები
2011	46490	45271	39293
2012	41482	40545	35818
2014	38140	37189	31954
2015	44482	43525	37079
2016	47084	45688	34111
2017	48434	47063	34260
2018	49248	47669	35995

ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, 2011 წელს საატესტატო გამოცდებში მონაწილეობდა 45271 მოსწავლე, მათ შორის გამოცდები წარმატებით დაძლია - 39293-მა და ვერ დაძლია - 5978-მა, 2012 წელს გამოცდებში მონაწილეობდა 40545, წარმატებით დაძლია - 35818 და ვერ დაძლია - 4727-მა, 2014 წელს მონაწილეობდა 37189, წარმატებით დაძლია -31954-მა,ვერ დაძლია - 5235-მა. 2015 წელს მონაწილეობდა 43525, წარმატებით დაძლია - 37079-მა, ვერ დაძლია - 6446-მა, 2016 წელს

მონაწილეობდა 45688, წარმატებით დაძლია - 34111-მა, შესაბამისად ვერ დაძლია - 11674-მა. 2017 წელს მონაწილეობდა - 47063 მოსწავლე, წარმატებით დაძლია -34260-მა, ვერ დაძლია - 12803-მა, 2018 წელს მონაწილეობდა - 47669 მოსწავლე, წარმატებით დაძლია -35995-მა და ვერ დაძლია - 11674.

დასკვნის სახით, აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ საატესტატო გამოცდებში ჩაჭრილთა რაოდენობა ბოლო წლებში მომატებულია.

2. კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გადავწყვიტე გამომეყენებინა თვისებრივი კვლევის მეთოდი. კვლევის ამ მეთოდის გამოყენებისას მკვლევარებს საშუალება ეძლევათ შენიშნონ და ახსნან ისეთი ნიუანსები, რომლებიც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას. თვისებრივი მეთოდების დროს ჩვენ უფრო დეტალურ ინფორმაციას ვიღებთ იმ ადამიანებისგან, ვის მოსაზრებებსაც შევისწავლით. (თ.ზურაბიშვილი, 2006).

თვისებრივი მეთოდის დროს, გარდა რესპოდენტების მოსაზრებების შესწავლისა, მკვლევარს შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია „როგორ“, „რამდენად ხშირად“ და „რამდენი“ კითხვების მიღმაც. (A.Burnham, 2013).

ინტერვიუების დროს საუბარი არაფორმალური ხასიათისაა, რაც კვლევაში მონაწილეს საშუალებას აძლევს თავისუფლად ისაუბროს, ხოლო მკვლევარს - ამოიღოს ღირებული ინფორმაცია. (A.Burnham, 2013).

ჩაღრმავებული ინტერვიუ როგორც ვიცით ძირითადად „ღია კითვებზე“ დაყრდნობით წარიმართება. რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლევარი არ სთავაზობს რესპოდენტს კითხვაზე შესაძლო პასუხებს. აღნიშნული განსაკუთრებით ღირებული მეთოდია ისეთ თემებზე მუშაობისას, რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი და ამით თემის ირგვლივ პრობლემებში ღრმად ჩაწვდომის საშუალებას გვაძლევს. (თ. ზურაბიშვილი, 2006).

ეს მოსაზრება სრულიად ეხმიანება ჩემს კვლევას, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს საკითხი არ არის შესწავლილი არც პრაქტიკული და არც სამეცნიერო თვალსაზრისით. იდეები და დამოკიდებულებები, რომელთაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორები და მასწავლებლები ავლენენ თითოეულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მნიშვნელოვანი იყო გაგვეცნო საზოგადოებისთვის.

კვლევის ჩატარებამდე განვსაზღვრე რესპოდენტები, შევადგინე არასტრუქტურირებული კითხვარები სკოლის დირექტორებისთვისა და მასწავლებლებისთვის. კვლევითი ინსტრუმენტი შეიქმნა მეორადი ინფორმაციის (კვლევები, კანონები და ა.შ) და ასევე ჩემი პირადი შეხედულებების შეჯერებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა მოგვცა კითხვების შეცვლის და კონკრეტული სიტუაციისთვის მორგების საშუალება, რაც შეუძლებელი იქნებოდა მასწავლებლების და დირექტორების კითხვარით, ან სხვა საშუალებით გამოკითხვის შემთხვევაში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს **მიზნობრივი პრინციპით** შერჩეულმა მასწავლებლებმა და დირექტორებმა თბილისიდან, რუსთავიდან, მარნეულიდან, ბორჯომიდან, წალკიდან, ბაკურიანიდან, გორიდან, კასპიდან, ქარელიდან, საგარეჯოდან და ახმეტიდან. კვლევის ფარგლებში

ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა თბილისის, საგარეჯოს და კასპის რესურსცენტრის უფროსებთან და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილესთან. სრული სურათის დასანახად კვლევის მონაწილეები საქართველოს მაშტაბით სხვადასხვა რეგიონიდან შეირჩა.

კვლევის რეპოდენტებს წარმოადგენდნენ ქალები და მამაკაცების მცირე ნაწილი საშუალოდ 28-დან 70 წლამდე. რაც შეეხება მასწავლებლებს, გამოკითხულები იყვნენ როგორც საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის, უცხოური ენების, სახელმწიფო ენის საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგები, ასევე დაწყებითი კლასების პედაგოგები. რესპოდენტ მასწავლებლებს შორის იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც გარდა მასწავლებლობისა საქმიანობდნენ რეპეტიტორობით. ზოგადსაგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები კი იყო მცირეკონტიგენტიანი, დიდკონტიგენტიანი, ქართულენოვანი, არაქართულენოვანი, ორსექტორიანი, მაღალმთიანი, ქალაქის და სოფლის.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოვკითხე ზემოთ ხსენებული რესპოდენტები. ამის შემდეგ მოხდა მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი.

2.1. კვლევის ლიმიტები, დაბრკოლებები და რისკები

წინამდებარე კვლევა გარკვეულწილად ლიმიტირებულია, რამდენადაც ის არ მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს და მისი განზოგადება საქართველოს სხვა კუთხეებზე შეუძლებელია.

რაც შეეხება რისკებს, რომლებიც კვლევის წინაშე იდგა არის ინტერესის გამოხატვის ნაკლებობა, როგორც დირექტორთა, ისე მასწავლებელთა მხრიდან, რაც გარკვეულწილად გამართლდა კიდეც და ზოგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორმა და მასწავლებელმა

დროის უქონლობა დაასახელა ჩაღრმავებულ ინტერვიუზე უარის თქმის მიზეზად, ზოგმა აღნიშნა, რომ ინტერვიუებს ერიდებოდა და შესაბამისად ჩაღრმავებულ ინტერვიუზე არ დათანხმდა.

კვლევის კიდევ ერთი რისკი გახლდათ არასწორი ინფორმაციის მოწოდება კვლევაში მონაწილეების მხრიდან, რაც ასევე შენიშნულ იქნა კვლევის მიმდინარეობის პროცესში - იყო შემთხვევები, როდესაც რესპოდენტები უარს არ ამბობდნენ კვლევაში მონაწილეობაზე, თუმცა მიუხედავად თანხმობისა, მაინც არ საუბრობდნენ პრობლემებზე.

მიუხედავად ამისა, კვლევით შესაძლებელი გახდა ძირითადი პრობლემების გამოკვეთა და ვფიქრობ, ამით ხელი შეეწყობა ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს, რაც საშუალებას მისცემთ აიღონ მიმართულება და საკითხი უფრო ღრმად შეისწავლონ.

2.2. ეთიკური საკითხები

მონაწილეთა კონფიდენციალურობა ნაშრომში მკაცრად არის დაცული.

კვლევის თითოეულ მონაწილე მასწავლებელს, დირექტორს და რესურსცენტრის წარმომადგენელს გავაცანი კვლევის შინაარსი. ავუხსენი მათ კვლევისთვის მათი მონაწილეობის მნიშვნელობა, შევუთანხმე ინტერვიუს მიმდინარეობის ჩაწერა და მივიღე მათგან ინფორმაციული თანხმობა.

2.3.კვლევის მიზანი და ამოცანები

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კვლევის მიზანია გამოავლინოს რისკ ფაქტორები და პოზიტიური შესაძლებლობები, რაც დაკავშირებულია საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან.

კვლევის **ამოცანებია** დავადგინოთ:

- როგორ აფასებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები და დირექტორები სკოლის გამოსაშვები გამოცდების გაუქმებას?
- როგორია მასწავლებლებისა და დირექტორების დამოკიდებულება სკოლის გამოსაშვები გამოცდების დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით?
- როგორია მასწავლებლებისა და დირექტორების დამოკიდებულებება სკოლის გამოსაშვები გამოცდების გაუქმების დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით?
- როგორ აფასებენ მასწავლებლები და დირექტორები საატესტატო გამოცდების გავლენას სასწავლო პროცესზე?
- როგორია საატესტატო გამოცდების გავლენა რეპეტიტორობის ინსტიტუტზე?
- როგორია რესპოდენტთა დამოკიდებულება საატესტატო გამოცდებისა და სასკოლო შეფასებების გათვალისწინებით უმაღლესში მოხვედრაზე?
- როგორია რესპოდენტთა ხედვები სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან და ანგარიშალდებულებასთან დაკავშირებით?
- როგორი უნდა იყოს რესპოდენტთა ხედვით განათლების დონის შეფასების მოდელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში?

3. კვლევის შედეგები

3.1. საატესტატო გამოცდები - შეფასების მექანიზმი

კვლევაში მონაწილე რესპოდენტები საატესტატო გამოცდების არსებობას საქართველოს განათლების სისტემაში სხვადასხვანაირად აფასებენ. ნაწილს მიაჩნია, რომ გამოცდა არ არის ერთადერთი საშუალება მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად და ასევე არ არის მიჩნეული ცოდნის მიღების ინსტრუმენტად გრძელვადიან ჭრილში.

„გამომდინარე იქიდან, რომ გამოცდას არ ვთვლი მოსწავლის ცოდნისა და უნარ- ჩვევების შეფასების ერთადერთ საშუალებად 21-ე საუკუნეში, ვერ ვხედავ საატესტატო გამოცდების აუცილებლობას. საატესტატო გამოცდების არსებობის პირობებში მოსწავლე

ორიენტირებულია მხოლოდ მის ჩაბარებაზე და არა ცოდნის შეძენის გრძელვადიან პერსპექტივებზე. ამდენად, გამოცდები ერთგვარ დამაბრკოლებელ ფაქტორადაც მიმაჩნია სწავლების გრძელვადიან ჭრილში.“

ეს ამონარიდი ერთ-ერთი მასწავლებლის ინტერვიუდან კარგად ასახავს იმ განწყობას, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორებისა და მასწავლებლების გარკვეული ნაწილი იზიარებს. გარდა ამისა, მათ მიაჩნიათ, რომ მისაღებ გამოცდაზეც იგივე პროგრამაა ჩასაბარებელი, შესაბამისად საატესტატო გამოცდების არსებობა არაპროდუქტიულია.

გამოცდები მოსწავლეებისთვის სახელდება ხელისშემშლელ ფაქტორად, რადგან ხშირ შემთხვევაში სკოლის მოსწავლეებს უწევდათ იმ საგნებისთვის დროის დათმობა, რომლებიც არ სჭირდებოდათ სამომავლოდ. ეს ფაქტი განაპირობებდა იმას, რომ ისინი ხშირად აცდენდნენ სკოლას, რაც მათ აკადემიურ მოსწრებაზეც აისახებოდა.

გამოიკვეთა მეორე, საწინააღმდეგო თვალსაზრისიც, რომლის თანახმადაც კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საატესტატო გამოცდები აუცილებელია, თუმცა არა იმ ფორმით, რა ფორმითაც ტარდებოდა აქამდე. თვლიან, რომ ატესტატის გაცემამდე, სასკოლო ცხოვრების დასასრულს აუცილებელია არსებობდეს რაღაც ტიპის შემაჯამებელი აქტივობები, შედეგების დასათვლელი. სასურველია, თუ იქნება სხვა ფორმა შემუშავებული, რომელიც უფრო რეალურად იმუშავებს და შედეგის მომცემი იქნება. წინარე გამოცდები არ იყო თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან. *„ჩვენ თუ გვინდა კონკრეტული ნაყოფი, ამ შემთხვევაში შედეგები დავითვალოთ, რაც დავთესეთ, ის უნდა მოვიმკათ.“* აღნიშნავს ერთ-ერთი დირექტორი. რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ სასურველია არა მხოლოდ საატესტატო, არამედ, შიდასასკოლო საფეხურებრივი, ან ყოველწლიური გამოცდების ჩაბარება.

იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომლის თანახმადაც მასწავლებელთა და დირექტორთა უმრავლესობას მიაჩნია რაღაც ტიპის გამოცდების ჩატარება აუცილებლად, ერთ-ერთი დირექტორის მოსაზრებას წარმოვადგენ. ის არა მხოლოდ დირექტორის, არამედ მშობლის პოზიციიდანაც საუბრობდა. ***„გესაუბრებით არა მხოლოდ როგორც დირექტორი, არამედ მშობლის პოზიციიდანაც. ჩემი შვილი მეუბნება 2 კვირის წინ: რატომღაც 11 კლასის ბოლოს გამოცდები რომ არ არის მოტივაცია დავკარგე. ჩემი შვილი რომ ამას ამბობს, ალბათ ეს უკვე ნიშნავს რაღაცას. ეს იყო მოსწავლის ხმა და მსგავსი საუბარი სხვა მოსწავლეებისგანაც მომისმენია. აქედან გამომდინარე ის შეიძლება ითქვას, რომ რაღაცა ტიპის გამოცდა უნდა იყოს, თუმცა არა იმ ტიპის რაც იყო.“***

საატესტატო გამოცდების, როგორც შეფასების მექანიზმზე საუბრისას აუცილებლად განსახილველია საატესტატო გამოცდების მიზანი. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუერთა უმრავლესობა საატესტატო გამოცდების მიზანად ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ცოდნის შემოწმებას ასახელებს. გარდა ამისა, მათ მიაჩნიათ, რომ გამოცდას მიზანი ექნება მაშინ, როცა რეალურად ასახავს მოსწავლის უნარებსა და ცოდნას. ***„ეს არის ერთგვარი გარე შეფასება, რომელიც ადასტურებს მოსწავლემ ნამდვილად აითვისა ან ვერ აითვისა სკოლაში ის ცოდნა და უნარები, რაც სკოლის დამთავრების შემდეგს უნდა ჰქონდეს ადამიანს.“***- ასე განმარტავს საატესტატო გამოცდების მიზანს ერთ-ერთი სკოლის დირექტორი. კვლევის დროს გამოკითხული რესოიდენტები თვლიან, რომ სატესტატო გამოცდა შედეგიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას. ამის შემდეგ გამოცდა უნდა ახდენდეს მოსწავლეთა ცოდნის მობილიზაციას და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შემდეგ უნდა მოხდეს სკოლის დასახული მიზნების სწორად შეფასება. ***„თუკი მომავალში დაიგეგმება რაიმე ტიპის გამოცდა, ალბათ ეს***

გამოცდა უნდა იყოს სწორედ იმის შემაფასებელი თუ რა გვინდოდა ჩვენ მოსწავლისგან გამოგვსვლოდა, რა დავისახეთ მიზნად და რა მივიღეთ რეალურად.“ – ამონარიდი ერთ-ერთი სკოლის დირექტორის ინტერვიუდან.

საინტერესო და გასათვალისწინებელი მოსაზრებებია გამოთქმული დირექტორთა და მასწავლებელთა მიერ შეკითხვაზე, რამდენად სამართლიანი სისტემაა, როცა ატესტატის გაცემა დამოკიდებულია საატესტატო გამოცდების შედეგებზე. რესპოდენტთა უმრავლესობას არასამართლიანად მიაჩნია. ისინი თვლიან, საატესტატო გამოცდები არ იყო სკოლაში მიღებული ცოდნისა და უნარების ლოგიკური შეჯამების საშუალება. ***„გამოცდით ცდი მხოლოდ 1 კრიტერიუმით(წერითი კომპონენტით) და მოსწავლეებს ჩვენ ვაფასებთ ძალიან ბევრი კრიტერიუმებით: ზეპირი მეტყველებით, პრეზენტაციის უნარით, გუნდური მუშაობით და ა.შ.“*** - ამონარიდი ერთ-ერთი დირექტორის ინტერვიუდან.

რესპოდენტების მიერ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული ატესტატის მიღებასთან დაკავშირებით. გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ბოლო სამი წლის ქულა უნდა იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, განმსაზღვრელი კრიტერიუმი იმისა, უნდა ჰქონდეს თუ არა მოსწავლეს საშუალო საფეხურის ატესტატი. სამივე წლის საერთო ქულა უფრო მეტი შრომის შედეგია, ვიდრე საატესტატო გამოცდები. ზოგს კი მიაჩნია, რომ ატესტატის ასაღებად რაღაც წილი უნდა იყოს გამოცდები და რაღაც წილი მთელი 12 წლის ქულები კომბინირებულად.

კატის საატესტატო გამოცდებს ზოგი რესპოდენტი ლატარიას ადარებს და არასწორად მიაჩნიათ მხოლოდ საატესტატო გამოცდებით ატესტატის გაცემა. თვლიან, რომ მოსწავლე მრავალმხრივ უნდა შეფასდეს: ***„მხოლოდ იმით, მოსწავლე კატის გამოცდებში „მოარტყავს“, ან „ვერ მოარტყავს“ სწორ პასუხს ეს არ უნდა იყოს საზომი. მრავალმხრივად უნდა ხდებოდეს მოსწავლის შეფასება სკოლაში მოსწავლე იმხელა პერიოდს გადის.“***

საინტერესო განსახილველია ერთ-ერთი დირექტორის მოსაზრება, რომელიც თვლის რომ ატესტატი მხოლოდ საატესტატო გამოცდის შედეგების საფუძველზე არ უნდა გაიცეს და ამის არგუმენდად ასახელებს სკოლის ფუნქციის შესუსტებას: ***„მოსწავლეს მხოლოდ და მხოლოდ საატესტატო გამოცდის შედეგების საფუძველზე არ უნდა ვაძლევდეთ ატესტატს. ამ შემთვევაში სკოლა დაკარგავს თავის ფუნქციას. მაშინ შესაძლებელი იქნება მოსწავლემ არ იაროს სკოლაში, ჩაბაროს ექსტერნის გამოცდა, შემდეგ საატესტატო და მიიღოს ატესტატი.“***

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ერთი გამოცდით არ უნდა წყდებოდეს ატესტატის გაცემა და ზოგადად მოსწავლის შეფასება. პორტფელიოები უნდა იყოს. მნიშნელობა უნდა ჰქონდეს ყველა აქტივობას, ეს იქნება ჩატარებული პრეზენტაცია, თუ რომელიმე საგნის აქტივობით გათვალისწინებული სპექტაკლის თამაში. ***„გამოცდის დღეს შეიძლება ან გავცივდი, ან ცუდად ვარ. იმ დღემ არ უნდა გადაწყვიტოს მომავალში რა იქნება. ყველაზე კარგი ვარიანტია სკოლაში სწავლების პერიოდში ყველა ნიშნის გათვალისწინება.“***

მხოლოდ რამოდენიმე რესპოდენტს მიაჩნია სამართლიანად სატესტატო გამოცდების შედეგების საფუძველზე ატესტატის გაცემა. მიიჩნევენ, რომ ატესტატს ის მოსწავლეები იღებდნენ, რომლებიც კომპეტენციას ადასტურებდნენ. „***შეფასების სისტემა რა საჭიროც არის, ის დატვირთვა აქვს გამოცდასაც. მოსწავლე უფრო მობილიზებურია სწავლისთვის.“*** აღნიშნავს ერთ-ერთი პედაგოგი.

უნდა ითქვას, რომ გამოკითხული სხვადასხვა სკოლის მასწავლებლებიდან და დირექტორებიდან მხოლოდ რამოდენიმე რესპოდენტი მიიჩნევდა სამართლიანად ატესტატის გაცემას საატესტატო გამოცდების შედეგების საფუძველზე. განხილულია სხვადასხვა მოსაზრებები და ატესტატის გაცემა მხოლოდ საატესტატო გამოცდების საფუძველზე, არ არის სამართლიანად მიჩნეული რესპოდენტთა მიერ.

მნიშვნელოვანი საკითხი საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით არის 2011-2018 წლებში არსებულმა საატესტატო გამოცდების სისტემის პოზიტიური და ნეგატიური შედეგების განხილვა ზოგადად სისტემისთვის, სკოლისთვის, მასწავლებლისთვის, მოსწავლისთვის.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა და მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს, რომ მიუხედავად კატის საგამოცდო სისტემის ხარვეზებისა, საწყის ეტაპზე ამ გამოცდებს ჰქონდა ეფექტი. ის მაინც ნაწილობრივ წარმოადგენდა მოსწავლისთვის 12 წლის განმავლობაში მიღებული საშუალო განათლების მაჩვენებელ კომპეტენციას, მასწავლებლისთვის გამოწვევას და პასუხისმგებლობას, რომ მის მოსწავლეს მაღალი აკადემიური მოსწრება დაედასტურებინა, ხოლო სკოლისთვის - სახელს.

ერთ-ერთი სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ საატესტატო გამოცდებმა საწყის ეტაპზე შემოიტანა ობიექტურობის შტრიხები: მოსწავლეები გამოაცოცხლა და გამოცდების ჩასაბარებლად აამუშავა: ***„საატესტატო გამოცდების დაწყებამდე, მოსწავლეებს ჰქონდათ ინდიფერენტული დამოკიდებულება, მოლოდინი იმის, რომ აუცილებლად მიიღებდნენ ატესტატს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სკოლაში 12 წლის განმავლობაში მოსწავლესა და მასწავლებელს შორის გარკვეული ურთიერთობები ყალიბდება. სუბიექტურობის როლი შემოაქვს ამას. საატესტატო გამოცდების შემოღებამ შემოიტანა ობიექტური შტრიხები - კი მასწავლებელი პატივს გცემს, მაგრამ თუ საკუთარი კომპეტენცია კომპიუტერზე ვერ დაადასტურე, მაშინ ვერ აიღებ ატესტატს.“*** რესპოდენტების უმრავლესობა ასევე ერთხმად ადასტურებს იმას, რომ მიუხედავად თავიდან ყველა რგოლის პოზიტიური განწყობისა და შემართებისა, შემდეგ პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო საჭირო ფორმატი. ხშირ შემთხვევაში, მოსწავლე, რომელიც სწავლობდა, ფაქტობრივად იგივეს იღებდა, რასაც ნაკლებად

მშრომელი ან საერთოდ „ბედის ანაბარა“ მყოფი მოსწავლე. ამ ფაქტმა გამოიწვია იმედგაცრუება.

განსხვავებით ზემოთ განხილული მოსაზრებებისა, განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს საატესტატო გამოცდების დადებით შედეგებთან დაკავშირებით. მათ მიაჩნიათ, რომ საატესტატო გამოცდების არსებობის პერიოდში მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც მეტად მოტივირებულები იყვნენ. ბავშვები უფრო მოწესრიგებულები მოდიოდნენ გაკვეთილებზე, შესაბამისად მათაც ჰქონდათ მოტივაცია მაქსიმუმი ეკეთებინათ და შედეგიც საუკეთესო იყო. ***„იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკა ასე თუ ისე რთულია, გამოცდებამდე ბავშვები საგანს ზერელედ უდგებოდნენ. გამოცდის დანიშვნის შემდეგ კი დაიწყეს მისი უფრო ღრმად შესწავლა, ეს რა თქმა უნდა სკოლასაც წაადგებოდა, მასწავლებელსაც და მოსწავლესაც.“*** - აღნიშნა ინტერვიუს დროს ერთ-ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა. აღნიშნულის საპირისპიროდ, პედაგოგთა და დირექტორთა ნაწილი აღნიშნავს, რომ 2011-2018 წლებში არსებულ საატესტატო გამოცდებს განსაკუთრებული შედეგი არ მოუტანია ზოგადად განათლების სისტემისთვის. მოსწავლეს სწავლის მოტივაცია საატესტატო გამოცდების გარეშე უნდა ჰქონდეს მრავალმხრივი აქტივოვების განხორციელებით და მასწავლებელსაც არ უნდა სჭირდებოდეს არავითარი მამოტივირებელი ძალისხმევა მოსწავლესთან სამუშაოდ.

რესპოდენტთა გარკვეული ნაწილი კი მიაჩნევს, რომ საატესტატო გამოცდებს დადებითი შედეგები საერთოდ არ მოუტანია და ამის არგუმენტად 2011-2018 წლების საატესტატო გამოცდებში სავალალო შედეგებს ასახელებს: ***„2011-2018 წლის სატესტატო გამოცდებმა ზოგადად განათლების სისტემის გაუმჯობესებას ვერ შეუწყო ხელი, რადგან განსაკუთრებით ბოლო წლების გამოცდებმა სავალალო შედეგი აჩვენა, მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო გადაელახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.“***

როგორც ინტერვიუერთა უმეტესობა აღნიშნავს, საატესტატო გამოცდების დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, გამოცდებმა განვითარება ვერ ჰპოვა. მოსწავლეები მიხვდნენ, რომ გამოცდის ჩასაბარებლად ძალიან დაბალი დონე იყო საჭირო და მოსწავლეები უკვე აღარ მეცადინეობდნენ. გამოცდა აღარ იყო მასტიმულირებელი. „***მიუხედავად იმისა, რომ კატის გამოცდებს საწყის ეტაპზე ჰქონდა გარკვეული დადებითი ეფექტი, შემოიტანა ობიექტური შტრიხები შეფასებაში, ამ პროცესმა შემდეგში მუტაცია განიცადა. მიიღო საკმაოდ არაჯანსღი სახე. საატესტატო გამოცდები ადამიანებისთვის იქცა ბიზნესის კეთების საშუალებად. გააძლიერა რეპეტიტორთა ინსტიტუტი.“*** - ამონარიდი სკოლის დირექტორის ინტერვიუდან.

ინტერვიუერთა მიერ გამოცდების ნეგატიურ მხარედ სახელდება ბავშვებისთვის ნერვიულობა გამოცდების დროს, ასევე გამოცდის ფორმატი. მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ბავშვები, რომლებიც ნამდვილად კარგად აზროვნებდნენ, ეროვნულ გამოცდებზე იღებდნენ ძალიან მაღალ ქულებს და არა მხოლოდ გამოცდებზე მერე უკვე საზოგადოებრივ სარბიელზეც აქტიური მოქალაქეები იყვნენ, წარმატებულები იყვნენ სტუდენტობისას და პროფესიულ საქმიანობაში, გამოსაშვებ გამოცდებზე ხშირად იღებდნენ დაბალ შედეგებს და ამას საკუთარი თავის რწმენაც კი შეიძლება დაეკარგა ბავშვებისთვის. იყო პირიქით - მოსწავლეთა რაღაც ნაწილი საკმაოდ მაღალ შედეგებს იღებდა სკოლის შეფასებასთან შედარებით, რაც იწვევდა მშობელთა და მოსწავლეთა უკმაყოფილებას. ***„გამოცდის ფორმატი არ იყო ვალიდური, არ აფასებდა მოსწავლის ცოდნასა და უნარებს შესაბამისი კრიტერიუმებით. არ იყო სწორად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები. ამ გამოცდით ვერ ვადგენდით მოსწავლის კომპეტენციას. ეს თვითშეფასებას უკარგავდა ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებს.“***- ამონარიდი ერთ-ერთი დირექტორის ინტერვიუდან.

კატის გამოცდების ფორმატის ხარვეზებზე საუბრობს ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი: ***„კომპიუტერზე***

ადაპტირებული ტესტი სინამდვილეში არ ვარგა, განსაკუთრებით მშობლიურ ენაში. არჩევითი, შემოსახაზი ტესტებით ვერ მოწმდება ვერც წერის კულტურა, ვერც ანალიტიკური უნარი. ეს გამოცდა თავიდანვე იყო ძალიან შეზღუდული, ბევრ ხარვეზსაა და ნაკლს შეიცავდა." მისი თქმით, კატის გამოცდების ნეგატიური შედეგი ზოგადად სისტემისთვის იყო დიდი ფინანსური ხარჯი გამოცდის ორგანიზებისთვის: *„გამოცდების უარყოფითი მხარე არის ისიც, რომ ძალიან დიდი თანხები იხარჯებოდა გამოცდების ორგანიზებაში. როდესაც 2 მილიონს ხარჯავ და შედეგი ფაქტობრივად არანაირი არ არის, გარდა იმისა, რომ ატესტატს აძლევ. ატესტატის გაცემა შესაძლებელია სხვა წესით. შესაძლებელია სკოლამ ჩაატაროს გამოცდა."* მან აღნიშნა, რომ კომპიუტერზე ადაპტირებულ ტესტს სხვა მინუსიც ჰქონდა: *„მოსწავლეთა ნაწილი 10 სათზე შედიოდა და აკეთებდა რაღაც დავალებებს, გამოდიოდა და ეუბნება თავის თანაკლასელებს. ესეც არასამართლიანი გამოვიდა."*

საატესტატო გამოცდების ნეგატიურად შეფასებისას მნიშნელოვანი და საინტერესო განსახილველია ერთ-ერთი დირექტორის შეფასება, სადაც კატის გამოცდებისას ჩასაბარებელი საგნები შედარებულია მისი უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში უსარგებლო საგნების გამოცდებთან, რომლებსაც ერთ ღამეში სწავლობდნენ და იმდენად უინტერესო იყო მალევე ავიწყდებოდათ: *„უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 3 წლის განმავლობაში ვსწავლობდი იმ საგნებს, რომლის დასახელება მაშინვე არ მახსოვდა. ერთ საღამოს ნასწავლით გავდიოდით გამოცდაზე, ნასწავლი მალევე გვავიწყდებოდა. არ გვაინტერესებდა და შედეგიც შესაბამისი იყო. ზუსტად ასეთი ეფექტი ჰქონდა კატის გამოცდებს."*

საატესტატო გამოცდების ნეგატიური მხარეების განხილვისას, მნიშვნელოვანია საატესტატო გამოცდების, როგორც სკოლის მიტოვების საკითხზე გავლენის მქონე ინსტრუმენტად განხილვა. ამ კონტექსტში საატესტატო გამოცდების ნეგატიურ ფაქტორად დასახელებულია ის, რომ არაერთი დირექტორი შეეწირა გამოსაშვები გამოცდების შედეგებს.

გამოცდების ნეგატიურ მხარედ ასევე სახელდება ბევრი მოსწავლის გადინება მეცხრე კლასიდან, რათა თავი აერიდებინათ საატესტატო გამოცდებისთვის. ერთ-ერთმა დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა: ***„კატის გამოცდების გაუქმების დანონსების შემდეგ, მეცხრე კლასიდან გასული მოსწავლეების მშობლების რიგი დადგა, რომლებიც ითხოვდნენ თავიაანთი შვილების სკოლაში დაბრუნებას სკოლაში ექსტერნის გამოცდების ჩაბარებით განსხვავებულ ვადებში.“*** დირექტორი არ გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ მათ შვილები სწორედ საატესტატო გამოცდებისთვის თავის არიდების მიზნით გაიყვანეს სკოლიდან. ამის არგუმენტად მოჰყავს ის, რომ წელს არცერთ ბავშვს და მშობელს არ აქვს გადაწყვეტილი მე-9 კლასიდან გასვლა. და ასევე არ გამორიცხავს იმის ალბათობასაც, რომ კოლეჯებს მეცხრე კლასიდან გასული მოსწავლეების შემცირების გამო კონტიგენტი შეუმცირდეთ.

საატესტატო გამოცდების ნეგატიური შედეგების განხილვისას რესპოდენტთა მიერ საატესტატო გამოცდები განხილულ იქნა, როგორც სოციალურ სამართლიანობაზე გავლენის მქონე ინსტრუმენტი.

Aris.ge განათლებისათვის ინტერვიუში განათლების ექსპერტი, სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, რომ ნაკლები გამოცდები დაეხმარება მოსწავლეებს იყვნენ თანასწორ მდგომარეობაში. ***„ზოგადად, რაც უფრო ნაკლები ასეთი ტიპის გამოცდა იქნება, მით უკეთესი იქნება, იმიტომ რომ ეს დაეხმარება აბიტურიენტებს, რომლებიც არ არიან თანასწორ მდგომარეობაში სხვებთან იმის გამო, რომ არ ჰყავთ კარგი რეპეტიტორები“.*** (ჯანაშია, 2015). ამონარიდი განათლების ექსპერტის ინტერვიუდან ნათლად ასახავს რესპოდენტთა უმრავლესობის დამოკიდებულებას. ინტერვიუერები აღნიშნავენ, რომ საატესტატო გამოცდები არათანაბარ ვითარებაში აგდებს მოსწავლეებს. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლაში ვერ ხდება მთელი რიგი მიზეზების გამო შესაბამისი ცოდნის მიცემა მოსწავლეებისთვის, საჭიროა დამატებითი მომზადება. ფინანსურად გაჭირვებული ოჯახებისთვის ეს მიუწვდომელია.

„ჩვენი განათლების სისტემა სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ისეთ მომზადებას, რომ მათ შეძლონ დამატებითი მომზადების გარეშე საატესტატო გამოცდების ჩაბარება. ეს ფაქტორი დიდი ტვირთი ხდება სოციალურად ისედაც შეჭირვებული მშობლებისათვის.“ - ამონარიდი ერთ-ერთი რესპოდენტის ინტერვიუდან ამყარებს განათლების ექსპერტისა და უმრავლესობის მოსაზრებას.

რაც შეეხება ზოგადად საატესტატო გამოცდების ნეგატიურ მხარეებს, მხოლოდ რამოდენიმე რესპოდენტი არ საუბრობს ნეგატიურ შედეგებზე, რადგან მათ არ მიაჩნიათ მართებულად გამოცდების გაუქმება. თუმცა, იყვნენ რესპოდენტებიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ გამოცდებმა არც ნეგატიური და არც პოზიტიური შედეგები არ მოიტანა. *„მე პირადად ვერ გეტყვით , რომ ამ გამოცდებმა განსაკუთრებული შედეგი დადო. ვერც ნეგატიური და ვერც პოზიტიური.“*

რესპოდენტთა მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ კატის გამოცდებმა დადებითი შედეგი ნაკლებად მოიტანეს, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებმა გარკვეული ფაქტობრივი მასალის ცოდნა დააგროვეს იმ პერიოდისთვის: *„პოზიტიურს ვერ ვიხსენებ, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებმა „რაღაც ისწავლეს“. ნეგატიური - ფორმატი იძლევა მხოლოდ დამახსოვრებაზე ორიენტირებულ ცოდნას, რომელსაც არ აქვს გრძელვადიანი პერსპექტივა.“*- ამონარიდი განათლების სფეროს წარმომადგენლის ინტერვიუდან, რომელიც ნათლად ასახავს ამ საკითზე გამოთქმულ რესპოდენტთა უმრავლესობის აზრს.

3.2. საატესტატო გამოცდები და სასწავლო პროცესი

შეკითხვაზე რა შედეგები ჰქონდათ თქვენ მოსწავლეებს საატესტატო გამოცდებში, მასწავლებელთა და დირექტორთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი პირადი გამოცდილებიდან 2011 წლიდან 2018 წლის ჩათვლით

შედეგები მკვეთრად არც გაუმჯობესებულა და არც გაუარესებულა. შედეგების შეფასებისას განსხვავებული ვითარება შეიმჩნევა თბილისისა და რეგიონის სკოლებში. თბილისში მასწავლებელთა და დირექტორთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა შედეგები ძირითადად იყო საშუალო, საშუალოზე მაღალი და საუკეთესო. რეგიონებში კი - ძირითადად კარგი და დამაკმაყოფილებელი. განსხვავებული ვითარებაა საატესტატო გამოცდების შედეგების თვალსაზრისით ორსექტორიან სკოლებში. როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში ცუდი შედეგები არ იყო საატესტატო გამოცდებში და ქართულ სექტორში ჩაჭრილები არ ჰყავდათ, სხვა მდგომარეობა იყო ამ კუთხით არაქართულ სექტორებზე. ***„ჩვენი სკოლა ორსექტორიანია. ქართულ სექტორზე წლების განმავლობაში ჩაჭრილი მოსწავლე არ გვყოლია, რასაც ვერ ვიტყვით არაქართულ სექტორზე.“*** - აღნიშნავს ორსექტორიანი სკოლის წარომადგენელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორთა და მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სისუსტე შეიმჩნეოდა საბუნებისმეტყველო საგნებში, იყვნენ ჩაჭრილები. ***„ყოველ წელს საბუნებისმეტყველო საგნებში შეიმჩნეოდა სისუსტე, გვყავდა ჩაჭრილები, რომლებიც ატესტატის გარეშე რჩებოდნენ საბუნებისმეტყველო საგნებში ჩაჭრის გამო.“***- ამონარიდი ერთ-ერთი დირექტორის ინტერვიუდან. აქვე აღნიშნავს, რომ იყო შემთვევები, როდესაც მოსწავლეები რვავე საგანში მაქსიმალურ შეფასებებს იღებდნენ***: „გვქონდა კარგი შედეგებიც იმ კუთხით, რომ გვყავდა მოსწავლეები, რომლებსაც რვავე საგანში უმაღლესი შეფასება ჰქონდათ, რაც ნამდვილად ძალიან საამაყო იყო.“***

განსხვავებით უმრავლესობისგან, რამოდენიმე საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგმა თქვა, რომ მათ მოსწავლეებს ჰქონდათ საკმაოდ კარგი შეფასებები. საერთოდ არ ჰყავდათ ჩაჭრილები. ***„მოსწავლეები გრძნობდნენ პასუხისმგებლობას, თვითონ მოჰქონდათ ამობეჭდილი ტესტები და***

ითხოვდნენ მათთვის პრობლემურ საკითხებსა და შეკითხვებზე კლასთან ერთად მუშაობას. შედეგიც შესაბამისად საუკეთესო იყო.“

ჩატარებული თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული იყვნენ მათემატიკის პედაგოგები, ყველა მათგანი აღნიშნავდა რომ ჩაჭრილები დიდი რაოდენობით არ ჰყავდათ. გარდა ამისა, სამცხე ჯავახეთის რეგიონში ჩაჭრილთა დიდი მაჩენებელი ფიქსირდება ინგლისურში, პედაგოგები კი აცხადებდნენ, რომ ჩაჭრილები არ ჰყოლიათ. ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში, საატესტატო გამოცდების ჩაჭრილი რაოდენობებიდან კი აშკარად იკვეთება ჩაჭრილთა დიდი რაოდენობა აღნიშნულ საგნებში. არ გამოირიცხება იმის ალბათობა, რომ პედაგოგები აღნიშნულ შემთვევაში არ იყვნენ გულწრფელები.

საატესტატო გამოცდების კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანი განსახილველია მოსწავლეთა **დასწრების საკითხი.** სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების მიზანს ხომ სწორედ სკოლაში დასწრების გაზრდა წარმოადგენდა. კვლევაში მონაწილე რესპოდენტების მოსაზრებები შეკითხვაზე, რამდენად უწყობდა ხელს საატესტატო გამოცდები სასკოლო დასწრებას მოსწავლეთა მხრიდან, განსხვავებულია.

„როდესაც შენ ბავშვს თავიდანვე ეუბნები, რომ მას 30%-ის გაცდენა შეძლია, მაქსიმალურად იყენებს. როდესაც აძლევ აპრიორს, რომ შენ შეგიძლია გააცდინო 30% და არ იარო გაკვეთილზე, ეს უკვე მესამედია სასწავლო პროცესის. ამის შემდეგ სკოლას არანაირი ბერკეტი არ რჩება იმისთვის, რომ ეს „მოქაჩოს“. ამიტომ არც საატესტატო გამოცდებზეა დამოკიდებული მათი სიარული და არსიარული და არც სკოლაზე. ეს მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლებას აძლევს სამინისტრო მოსწავლეს.“ ეს ამონარიდი ერთ-ერთი დირექტორის ინტერვიუდან ნათლად ასახავს იმას, რასაც კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა იზიარებს.

რესპოდენტთა ნაწილი ასევე აღნიშნავს, რომ მე-12 კლასში სატესტატო გამოცდები უკვე აღარ იყო მოტივაცია სკოლაში სიარულის. მე-11 კლასში ბავშვები შედარებით სწავლობდნენ, განსაკუთრებით იმ საგნებს, რომლებიც საატესტატო იყო. გაკვეთილზე უფრო მაღალი იყო აქტივობა. თუმცა ვერ პროგნოზირებს უმრავლესობა სამომავლოდ რა კუთხით შეიცვლება ვითარება. ***„გამოცდების გაუქმების შემდეგ, რადგანაც ეს მეორე სემესტრში მოხდა და, ვერ მოესწრო მოდუნება, მომავალ წელს რა იქნება არ ვიცით."*** - ამონარიდი დირექტორის ინტერვიუდან.

კვლევაში მონაწილეთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სატესტატო გამოცდების პერიოდში, მოსწავლეები სკოლის ცოდნით არ კმაყოფილდებოდნენ და რეპეტიტორებთან დადიოდნენ მოსამზადებლად, რაც პირიქით, ხელს უშლიდა დასწრებას.

საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს ერთ-ერთი მაღალმთიანი სკოლის წარმომადგენელი. მისი თქმით, რადგანაც სკოლაა მაღალმთიან რეგიონში ცოდნის მიღების ერთადერთი საშუალება, გამოცდების გაუქმების შემდეგ დასწრება შესუსტდა სკოლაში და ასევე არ გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ ქალაქის სკოლებში შესაძლოა საპირისპირო ვითარება იყოს: ***„ჩვენთან რეგიონში, სადაც რეპეტიტორების ინსტიტუტი არ არსებობს, ცოდნის მიღების ერთადერთი საშუალება სკოლაა. ამიტომაც დასწრებაზე წელს იმოქმედა გამოცდების გაუქმებამ. ქალაქის სკოლებში ალბათ პირიქით იქნებოდა, გამოცდებისთვის ყველა რეპეტიტორთან ემზადებოდა სკოლის დროის ხარჯზე და ალაბთ გაცდენები ახლა უფრო მოიკლებდა."***

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა საპირისპირო მოსაზრებები საატესტატო გამოცდების პერიოდში დასწრებასთან დაკავშრებით. რესპოდენტების მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ გამოცდა იყო ერთგვარი სამოტივაციო საშუალება. ***„გამოცდები იყო ის, რაც ჯერ კიდევ აკავებდა მოსწავლეს სკოლაში."*** აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი

მოსაზრებები ძირითადად საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგთა მიერ იყო გამოხატული.

შეკითხვაზე, რამდენად გააუმჯობესა საატესტატო გამოცდებმა განათლების ხარისხის თქვენს საგანაში, მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საატესტატო გამოცდები არ აუმჯობესებს კონკრეტულ საგანში ხარისხს. განათლების დონის ამაღლებას იწვევს სწორად განსაზღვრული სტრატეგიები, სასწავლო პროცესი, სწორად ჩამოყალიბებული საგამოცდო ფორმატი, რომელიც თანხვედრაში იქნება სასწავლო მიზნებთან და პროცესთან, რომელშიც თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების სხვადასხვა მიმართულებით გამოვლენას.

აღნიშნულის საპირისპიროდ, მასწავლებელთა ძალიან მცირე ნაწილი, ძირითადად საბუნებიმეტყველო საგნების მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ საატესტატო გამოცდებმა გააუმჯობესა განათლების ხარისხი მათ საგანში. თვლიან, რომ გამოცდები ხელს უწყობდა წლის განმავლობაში ნასწავლი მასალის სისტემატიზაციას, რაც მხოლოდ და მხოლოდ დადებითად აისახებოდა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ***„ვფიქრობ, საკმაოდ გააუმჯობესა, რადგან ეს პროცესი ხანგრძლივ სწავლებასთან იყო დაკავშირებული. მიხაროდა ახსნაც და მოსმენაც. მთელი ყურადღებითა და ინტერესით ისმენდნენ, იწერდნენ, იმახსოვრებდნენ.“***- ამონარიდი მასწავლებლის ინტერვიუდან.

შეკითვაზე, რა უარყოფითი გავლენა ჰქონდა საატესტატო გამოცდებს თქვენს სასწავლო პრაქიკაზე, მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, მათ პრაქტიკაზე საატესტატო გამოცდებს გამოკვეთილად უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია: ***„ვფიქრობ, რომ გამოკვეთილად უარყოფითი არაფერი, თუმცა არც მკვეთრად დადებითი არ მოჰყოლია არაფერი.“*** – ამონარიდი ერთ-ერთი მასწავლებლის ინტერვიუდან.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ერთ-ერთი პედაგოგი საატესტატო გამოცდების უარყოფით შედეგებზე. უარყოფით მხარედ ასახელებს იმას, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, თუმცა მიიჩნევს რომ მოსწავლე ფაქტობრივი ცოდნის დასწავლის გარეშე ანალიტიკურ დასკვნას ვერ დადებს: ***„არ ვანიჭებდი დიდ მნიშვნელობას ანალიტიკურ და კრიტიკულ ანალიზს. სამაგიეროდ ინფორმაციის დიდი ბაზა ჰქონდათ. ბავშვმა თუ არ იცის სად მდებარეობს მდინარე ნილოსი და საიდან გამოდის ან სად ჩადის ან რომელ ქვეყნებს გაივლის რა ანალიტიკურ დასკვნას მეტყვის . მასზე აგებულ კაშხალის დადებითი და უარყოფითი მხარე ეცოდინება??? ასეთი მაგალითი უამრავი შეიძლება მოვიყვანო . ჯერ ინფორმაციის სახით ხომ უნდა იცოდეს მასალა, რომ ანალიზი შეძლოს. ახლა ანალიზი გვაქვს ინფორმაციის გარეშე!“***

უარყოფით მხარედ ასევე სახელდება მისაღები გამოცდების დროს მოსწავლებისთვის დიდი დროის წართმევა: ***„საატესტატო გამოცდები საკმაო დროს ართმევდა მოსწავლეებს ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების ბოლო ეტაპზე.“***

შეკითხვაზე, რამდენად უწყობდა ხელს ან უშლიდა ხელს საატესტატო გამოცდები სასკოლო დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებას, თქვენი სასწავლო პრაქტიკიდან გამომდინარე რამდენად აკეთებდით აქცენტს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე, შედეგებსა და ინდიკატორებზე საატესტატო გამოცდების პირობებში, მასწავლებელთა უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს, რომ ნებისმიერი საგანმანათლებლო პროცესი უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თუმცა საატესტატო გამოცდების პირობებში აქცენტი უფრო მეტად კეთდებოდა ფაქტობრივ მასალაზე, ვიდრე მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, რაც თავითავად წინააღმდეგობაში მოდიოდა ესგ - თან. ***„საატესტატო გამოცდების***

ფარგლებში ამ მიმართულებით, მინიმალურად ვაკეთებდი აქცენტს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გამოცდების ფორმატი არ მოითხოვდა ესგ-ით განსაზღვრულ მაღალ სააზროვნო უნარებზე ორიენტაციას და ჩემი აზრით, მოითხოვდა ცოდნის რეალიზაციას მხოლოდ -ცოდნა, გაგება, გამოყენების დონეზე.“ – აღნიშნავს ერთ-ერთი პედაგოგი.

ერთ-ერთი პედაგოგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ ხდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მაღალი საფეხურის ანალიზისა და სინთეზის შესრულება, ცოდნა და გაგება მაინც ხდებოდა: *„შეიძლება ვთქვა რომ, გეგმის მაღალ საფეხურს ანალიზისა და სინთეზის პროცესს ვერ ვასრულებდი, ცოდნა და გაგება მაინც ხდებოდა, მაგრამ დღეს მოსწავლეთა უმეტესობა ცოდნასა და გაგებასაც არ ან ვერ ახერხებს.“*

როგორც რესპოდენტთა ინტერვიუდან შეინიშნება, მცირერიცხოვან კლასებში, რეგიონებში ბევრი მასწავლებლის მიერ უფრო ხორციელდებო ესგ-ს მოთხოვნებზე, შედეგებსა და ინდიკატორებზე აქცენტის გაკეთება. ერთ-ერთი მცირეკონტიგენტიანი, მაღალმთიანი სოფლის პედაგოგი აღნიშნავს, რომ რადგანაც საატესტატო გამოცდების შედეგად არ მოწმდებოდა მაღალი სააზროვნო უნარები, სწავლა-სწავლების პროცესში ნაკლებად ამახვილებდა ყურადღებას საატესტატო გამოცდების მსგავსი სავარჯიშოების კეთებაზე, აქცენტს აკეთებდა ესგ-ს მოთხოვნებზე. ესგ-ს მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსწავლეებს აღარ გაუჭირდებოდათ საატესტატო გამოცდების ჩაბარება, პირიქით, გაცილებით მარტივი იქნებოდა. აქვე აღნიშნავს, *„რადგანაც მე ძირითადად მცირე კონტიგენტიან სკოლებში ვასწავლი მქონდა დრო, საშუალება და რესურსი აქცენტი უფრო მაღალ სააზროვნო უნარებზე გამეკეთებინა, რაც თავისთავად მოიაზრებდა ფაქტობრივი ინფორმაციის ცოდნა-გააზების უნარების ქონას, რაც საჭირო იყო საატესტატო გამოცდებისთვის.“*

როგორც რესპოდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა, უმეტეს სკოლებში მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლებისას საატესტატო გამოცდების პროცესში ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი ესგ-ს მოთხოვნებზე.

შეკითხვაზე, როგორი იყო განწყობები და მოთხოვნები მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან სკოლისა და მასწავლებლის მიმართ, მოემზადებინა სკოლას მოსწავლე საატესტატო გამოცდებისთვის, თუ მაქსიმალური აქცენტი საგნობრივ ცოდნასთან ერთად გაეკეთებინათ შემოქმედებითობაზე, პრობლემის გადაჭრის უნარზე, ინოვაციურობაზე, საკომუნიკაციო და სოციალურ უნარებაზე, მასწავლებელთა და დირექტორზთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მშობლებიც და მოსწავლეებიც გამოცდებზე იყვნენ ორიენტირებული და ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას სხვა უნარების განვითარებას. ***„სამწუხაროდ მშობლებიც ფიქრობენ ისე, როგორც ბავშვები. ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ იმისთვის, რომ მშობლებს გავაგებინოთ ის, რომ სკოლის მიზანი არ არის მხოლოდ გამოცდების ჩაბარება, არამედ მნიშვნელოვანია ისეთ უნარებზე გასვლა როგორიცაა: შემოქმედებითობა, პრობლემის გადაჭრის უნარი, ინოვაციურობა, საკომუნიკაციო და სოციალურ უნარები.“*** ამონარიდი ერთ-ერთი დირექტორის ინტერვიუდან კარგად ასახავს დღევანდელ რეალობას და კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა აზრს. რესპოდენტთა ნაწილი აღნიშნავს, მათთვის მშობელთა მოთხოვნები და განწყობები ნაკლებად არის ცნობილი : ***„რაც შეეხება მშობელთა მოთხოვნებსა და განწყობებს, ნაკლებად ცნობილია ჩემთვის, რადგანაც მშობლები არ არიან აქტიურად ჩართული და გაცნობიერებული ასეთ საკითხებში.“*** - აღნიშნავს ერთ-ერთი მაღალმთიანი რეგიონის მასწავლებელი.

დასკვნის სახით, რესპოდენტთა დამოკიდებულებების შესაწავლის შემდეგ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ მოსწავლეებში გამოცდების გაუქმების შემდეგაც კი უმრავლესობა ორიენტირებულია ნიშანზე. გარკვეული ფაქტობრივი ინფორმაციის დასწავლით სურთ მარტივად ნიშნის

მიღება. საერთოდ არ არიან დაინტერესებულები იმ უნარებზე გასვლაზე, როგორიცაა შემოქმედებითობა, გუნდური მუშაობა, ინოვაციურობა, პრობლემის გადაჭრის უნარი და სხვა. მოსწავლეთა დიდ ნაწილს უჭირს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება. მათი ძალიან მცირე ნაწილი შრომობს თავდაუზოგავად გარკვეული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განსავითარებლად. ხშირ შემთხვევაში, მიუხედავად პედაგოგთა დიდი ძალისხმევისა, მათი ჩართვა ისეთ აქტივობებში, რომელსაც ესგ-ს მიზნები ითვალისწინებს რთულად ხდება.

3.3. საატესტატო გამოცდები და რეპეტიტორების ინსტიტუტი

ნაშრომის წინა თავებში არაერთელ იქნა ნახსენები რეპეტიტორობის საკითხი სხვადასხვა კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ფაქტია რომ საატესტატო გამოცდები და რეპეტიტორობის ინსტიტუტი ნამდვილად არის კავშირში ერთმანეთთან.

საინტერესო განსახილველია ერთ-ერთი დირექტორის მოსაზრება, რომელიც განმარტავს რეპეტიტორებთან მომზადების მიზეზს საატესტატო გამოცდებისათვის: ***„რეპეტიტორებთან მომზადების მიზეზი იყო ის, რომ საატესტატო გამოცდები არ ითვალისწინებდა მხოლოდ 12 კლასის პროგრამას, ბარდებოდა წინა წლების პროგრამაც. საგამოცდო პროგრამა რომ ითვალისწინებდეს მხოლოდ 12 კლასის პროგრამას, მაშინ მოსწავლე ივლიდა სკოლაში და სკოლაში მიღებული ცოდნით ჩააბარებდა.“***

საინტერესო განსახილველია ასევე რესპოდენტთა დამოკიდებულებები იმ კუთით, თუ როგორ აფასებენ რეპეტიტორობის არსებობის დადებით და უარყოფით მხარეებს საქართველოში.

ნაშრომში განხილულ სხვა აქტუალური საკითების მსგავსად, რეპეტიტორობის ინსტიტუტის არსებობის დადებით და უარყოფით მხარეებზეც რესპოდენტები სხვადასხვა შეფასებებს გამოთქვამენ.

„რეპეტიტორის ინსტიტუტი საკმაოდ ძლიერია საქართველოში . ეს არის გუნდი, რომელიც წარმოადგენს მაღალკვალიფიციური და წარმატებული პედაგოგების ერთობლიობას. სწორედ მათი დამსახურებაა ნაწილი ახალგაზრდების მაღალი შედეგები ეროვნულ თუ საერთაშორისო ასპარეზზე.“ - ეს არის ამონარიდი ერთ-ერთი მასწავლებლის ინტერვიუდან, რომელიც გამოხატავს კვლევაში მოინაწილე რესპოდენტების გარკვეული ნაწილის მოსაზრებას.

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ერთ-ერთი დირექტორი, რეპეტიტორობის დადებით მხარედ ასევე მიიჩნევს ინდივიდუალურ მიდგომას სწავლებისას, რაც მოსწავლის საჭიროებებისა და შესაძლებლობების დადგენის უკეთესი შესაძლებლობაა, თუმცა საუბრობს რეპეტიტორობის ინსტიტუტის უარყობით მხარეებზეც. *„რაც შეეხება უარყოფით მხარეს, როდესაც მედალოსანმა ბრწყინვალედ დახურა მე-10, მე-11 და მე-12 კლასი, მაგრამ იმისათვის რომ ამ ცოდნის კოორდინაცია მოახდინოს, შეკრას ეს ყველაფერი მას სჭირდება მასწავლებელი. სამწუხაროდ, შემდგომ რეპეტიტორი იწერს ქულებს იმაზე, რაც ჩვენ სკოლაში ვასწავლეთ, ეს არასწორია უკვე.“*

რეპეტიტორობის ინსტიტუტზე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ერთ-ერთი სკოლის დირეაქტორი. მას მიაჩნია, რომ საქართველოში ზოგ შემთხვევაში მის მახინჯ ფორმასთან გვაქვს საქმე. *„პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არსებობს რეპეტიტორობის ინსტიტუტი, თუმცა, სიტყვა „რეპეტიტორი“ გვიჩვენებს, რომ როგორც რეპეტიციას სჭირდება მრავალჯერადი გამეორება, რეპეტიტორსაც ეს ფუნქცია უნდა ჰქონდეს რეალურად.“* მისი თქმით სკოლა არის თანმიმდევრული, სხვადასხვა სტრატეგიებზე ორიენტირებული, სხვადასხვა უნარების განვითარებაზე ორიენტირებული. თუ ბავშვს უნდა უნარები განივითაროს და მოძლიერდეს მათემატიკაში ეს კარგია. *„თუმცა ჩვენთან რეპეტიტორობის მახინჯ ფორმებზეა საუბარი. ბავშვს დაწყებით კლასებში აზეპირებენ ტექსტებს, ასრულებინებენ*

დავალებას, სკოლის მიზანი კი სულ სხვა უნარების განვითარებაა. ნაცვლად ფაქტების შეფასებისა, ანალიზისა და ჯგუფური მუშაობისა, რეპეტიტორი ხშირ შემთხვევაში ზეპირად ასწავლის ტექსტებს. შედეგად მოდის უამრავი უკმაყოფილო მშობელი. მათი თქმით მის შვილს ყოველთვის აქვს დავალება და მაინც „5“ უწერია. სწორედ იმიტომ აქვთ ეს დაბალი შეფასება რომ დაბალი სააზროვნო უნარი აქვთ. რეპეტიტორები ცუდ საქმეს აკეთებენ ამ მიმართულებით.“

რეპეტიტორობის უარყოფით მხარედ ასევე სახელდება მშობლების დიდი რაოდენობით რესურსების ეფექტური ან არაეფექტური ხარჯვა. *„უარყოფითია ის, რომ ყველას სჭირდება, თუ არ სჭირდება ყველამ მომზადება დაიწყო, თითქოს მოდაში შემოვიდა, გარდა ამისა, სკოლის სკოლის რეიტინგი და სახელი ქვეითდება.“*- ამონარიდი ერთ-ერთი დირექტორის ინტერვიუდან.

შეკითხვაზე, რამდენად განაპირობებდა საატესტატო გამოცდები რეპეტიტორების ინსტიტუტის გაძლიერებას საქართველოში, რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პირდაპირ კავშირში იყო, რადგან იყო შემთხვევები, როდესაც ერთ პედაგოგს 35-40 მოსწავლე ჰყავდა. *„პირდაპირპროპორციულია. მეტი გამოცდა ნიშნავს მეტ რეპეტიტორს.“*- ამონარიდი მასწავლებლის ინტერვიუდან.

„კატის გამოცდებმა ასე რომ ვთქვათ „გაამრავლა“ რეპეტიტორების ინსტიტუტი. ყოველი მეორე, პროფესიონალი, თუ არაპროფესიონალი ამ საქმიანობას ეწევა.“-აღნიშნავს ერთ-ერთი სკოლის დირექტორი.

ერთ-ერთი მაღალმთიანი სკოლის დირექტორი კი აღნიშნავს, რომ რეპეტიტორობის ინსტიტუტის პრაქტიკა მის სკოლაში არ არის, ბავშვები საატესტატო და ეროვნულ გამოცდებსაც სკოლაში მიღებული ცოდნით აბარებდნენ. *„ჩვენს სკოლაში მსგავსი პრაქტიკა არ არის. აქ ეროვნულებსაც სკოლაში მიღებული ცოდნით აბარებენ. ალბათ იმიტომ, რომ მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა.“*

შეკითვაზე, საატესტატო გამოცდების გაუქმება გამოიწვევს თუ არა რეპეტიტორების ინსტიტუტის დასუსტებას, რესპოდენტთა ნაწილი პასუხობს რომ ეს მხოლოდ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს შეეხებათ. ნაწილი მიიჩნევს, რომ კარგ რეპეტიტორს ვერაფერი დაასუსტებს . მასი ცოდნა და გამოცდილება გამოცდების გარეშეც ძალიან სასარგებლო იქნება მოსწავლეებისათვის.

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ რესპოდენტთა მიერ რესპეტიტორობის ინსტიტუტის დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრისას გამოიკვეთა კარგი და ცუდი მოსაზრებებიც აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ. რაც შეეხება კავშირს საატესტატო გამოცდებსა და რეპეტიტორობას შორის, მიიჩნევა რომ საბუნებისმეტყველო საგნებში რეპეტიტორების რაოდენობა ნამდვილად გაიზარდა საატესტატო გამოცდების პერიოდში, თუმცა სხვა საგნებში, რომლებიც ბავშვებს ისედაც სჭირდებათ მისაღები გამოცდებისთვის რეპეტიტორებთან სიარული ბავშებს არ შეუწყვეტიათ და შესაბამისად არც შესუსტებულა და არც გაძლიერებულა რეპეტიტორთა ინსტიტუტი.

3.4. მოსაზრებები საატესტატო გამოცდების გაუქმების დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით

საატესტატო გამოცდების გაუქმების შემდეგ მასწავლებლები და დირექტორები შედეგებს განათლების ხარისხთან მიმართებით, სკოლის და მასწავლებლის როლსა და სტატუსთან მიმართებით, სასწავლო პროცესის და მიდგომების შეცვლასთან დაკავშირებით სხვადასხვანაირად აფასებენ.

რესპოდენტთა დიდი ნაწილი ცალსახად ვერ იძლევა პასუხს ზემოთ აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით. მიაჩნიათ, რომ ეს დაკვირვებისა და კვლევის საგანია. თუმცა უმრავლესობა მაინც აღნიშნავს, რომ საატესტატო გამოცდების ყოფნა არ ყოფნა არ წყვეტს პრობლემებს, ეს არის კომპლექსური პრობლემა. ამ შემთხვევაში სკოლას, ადმინისტრაციას, საშუალო საფეხურის მასწავლებლებს აქვთ საერთო გადაწყვეტილების

მიღების უფლება. „*თუნდაც დაიგეგმოს პროექტული სწავლება, რაც ყველა ზემოთ ჩამოთვლი კრიტერიუმს თანაბრად დააკმაყოფილებს და იქნება თუ არა ცენტრალიზებული გამოცდა ამას არ დაველოდოთ, არ მივანიჭოთ მნიშვნელობა და იმ სტანდარტების შესაბამისი მეთოდებით ვიმუშაოთ რაც გვაქვს რეალურად და დავდოთ შესაბამისი შედეგი*," ამონარიდი ერთ-ერთი დირექტორის ინტერვიუდან განსაზღვრავს რესპოდენტთა უმრავლესობის ხედვას. დირექტორი არ გამორიცხავს იმის ალბათობასაც, რომ პროექტული სწავლების განსახორციელებლად ყველა მასწავლებელს არ ჰქონდეს შესაბამისი უნარები. *„თუმცა ამ პროექტული სწავლების განხორციელებასაც უნდა სხვა უნარები, რასაც ცალსახად ალბათ ყველა პედაგოგი ვერ ფლობს. თუმცა სკოლა მზად უნდა იყოს იმისთვის რომ გააკეთოს ტრენინგები, შიდა მასტერკლასები, იმისთვის, რომ მასწავლებლებმა ეს უნარები გაიღრმავონ."* როგორც ჩანს, საბოლოოდ, პრობლემების გადასაჭრელად მივდივართ კვალიფიციურ კადრებამდე.

გამოცდების გაუქმების შედეგებზე საუბრისას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ გამოცდების გაუქმება მოსწავლის შედეგებზე არანაირ გავლენას არ მოახდენს. ისიც სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და შედეგზე გასვლის მთავარ ინსტრუმენდად კვალიფიციურ პედაგოგებს ასახელებს. *„არაფერი განსაკუთრებული ამას არ მოყვება. ზოგადად შეფასების სისტემა როგორიც არ უნდა იყოს, იდეალურიც რომ შექმნა ვერ გააუმჯობესებს სწავლის ხარისხს. საჭიროა კვალიფიციური მასწავლებლები ცვლილებების განსახორციელებლად და შედეგზე გასასვლელად."*

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს კიდევ ამყარებს ერთ-ერთი რეგიონის დირექტორი, რომელმაც ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ იქ სადაც მასწავლებელი მოტივირებულია და თავის საქმეს მაქსიმალური მონდომებით აკეთებს არ არის საჭირო აღნიშნული გამოცდების ჩატარება, შედეგი ისედაც დგება. მისი თქმით, განათლების სისტემაში ასეთი პედაგოგების რიცხვი

მცირეა. პედაგოგებს აქვთ კარგი კვალიფიკაცია, მაგრამ არ ხარჯავენ ენერგიას ყველა მოსწავლესთან, რადგან ეს საკმაოდ დიდ ენერგიას მოითხოვს. სამწუხაროდ მიაჩია ის ფაქტი, არ არსებობს სასწავლო პროცესის მონიტორინგის გარე სისტემა, რომელიც შეაფასებს იმას, თუ რა ხდება გაკვეთილზე და რამდენად შედეგზე ორიენტირებულია პედაგოგი. ***„რიგ სკოლებში ადმინისტრაცია თავად უწევს მონიტორინგს და იკვლევს სწავლის შედეგს, ეს ადმინისტრაციის კეთილი ნებაა და არცერთი საკანონმდებლო აქტი არ ხდის ვალდებულს დირექტორს რეგულარულად ზომოს შედეგები.“*** კატის გამოცდების დადებით მხარედ ასახელებს იმ ფაქტს, რომ ეს გამოცდები პედაგოგებს ერთგვარ ვალდებულებას აკისრებდა, სასწავლო პროცესი ისე წარემართა, მოსწავლეს მინიმალური ცოდნა მაინც დაეგროვებინა. დირექტორი შესაძლო ნეგატიურ შედეგებზეც საუბრობს გამოცდების გაუქმების შემდეგ და მიაჩნია, რომ საქართველოს განათლების სისტემა, მით უმეტეს რეგიონის სკოლებში, სადაც ყველა ყველას ახლობელია, არ იყო მზად ამ გამოცდების გაუქმებისთვის. ***„ის იმოქმედებს, მოსწავლეთა შედეგებზე და ასევე შეფასებაზეც. გამოცდების პერიოდში მასწავლებლები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ შეფასების პროცესს და ცდილობდნენ წლიური ქულა და კატის გამოცდის შედეგი ერთმანეთთან ახლოს ყოფილიყო. ახლა შესაძლოა იმატოს არასამართლიანად დაწერილმა შეფასებებმა და შესაბამისად მედალოსნების რიცხვმაც.“***

საატესტატო გამოცდების გაუქმების დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრისას ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ გამოცდების გაუქმება დადებითად აისახება მშობელთა მატერიალურ დანახარჯებზე, თუმცა ნეგატიურად ასახელებს მოსწავლეთა პასუხისმგებლობის შემიცირებას: ***„მშობლის ბიუჯეტმა ამოისუნთქა. უამრავი თანხა დაიზოგა, მაგრამ ცოდნა და განათლებაც შემცირდა. მე-11 კლასის მოსწავლემ მითხრა: სახელმწიფო ისე მაძლევს ატესტატს და თქვენ რა უფლება გაქვთ ნიშანი არ დამიწეროთო.! ეს დამოკიდებულება უფრო იზრდება. მასწავლებელი ფასს კარგავს.“***

ერთ-ერთი დირექტორი აღნიშნულის საპირისპიროდ აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციას და დირექციას ძალიან ბევრი რამ შეუძლია. მხოლოდ გამოცდა არ უნდა იყოს მამოტივირებელი. საჭიროა პედაგოგებისა და ბავშვების მუშაობა იყოს ორმხრივი და არ იყოს ნიჰილისტური. ***„პედაგოგებისა და ბავშვების დამოკიდებულება არ უნდა იყოს ნიჰილისტური. ყველაფერი უნდა იყოს ორმხრივი მუშაობის შედეგი, ბავშვიც და მასწავლებელიც უნდა იყვნენ თანაბრად მოტივირებულები. შინაგანი და გარეგანი მოტივაცია ერთმანეთს უნდა ავსებდეს. მარტო გარეგანი მოტივაცია, რომ მე მაქვს გამოცდა ჩასაბარებელი და ამაში ან დავისჯები და ან ჯილდოს მივიღებ, ამაზე არ უნდა ვიყოთ ორიენტირებულები და ნიჰილიზმიც არ იქნება.“***

საატესტატო გამოცდების გაუქმების დადებით შედეგებად სახელდება ასევე მოსწავლისთვის სტრესული სიტუაციის თავიდან არიდება, სახელმწიფოსთვის და მშობლისთვის-მატერიალური რესურსების დაზოგვა. ***„ეს ერთმნიშნელოვნად დადებითი მოვლენაა. მოსწავლეს უზოგავს დროს, სახსრებს, ნერვებს. შეიძლება მეტ-ნაკლებად გაჯანსაღდეს სასწავლო პროცესი. მასწავლებელს მისცეს სტიმული შეძლებისდაგვარად - შემოქმედებითად მიუდგეს სასწავლო პროცესს.“***- ამონარიდი ერთ-ერთი მასწავლებლის ინტერვიუდან.

რესპოდენტები არც იმის ალბათობას გამორიცხავენ, რომ ცვლილებების განხორციელება დიდხნიან, რუტინულ სამუშაოს მოითხოვს, რაც მაღალი პროფესიონალებისგან არის გასაკეთებელი. მიაჩნიათ, რომ გამოცდების გაუქმება განათლების ხარისხს ვერც აწევს და ვერც დაწევს.

3.5. საატესტატო გამოცდები და სასკოლო შეფასებები - უმაღლესში მოხვედრის შესაძლებლობა

საინტერესო და გასათვალისწინებელი მოსაზრებებია გამოთქმული რესპოდენტთა მიერ უმაღლესში მოსახვედრად სკოლის შეფასებების

გათვალისწინებაზე. რესპოდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უმაღლესში მოსაღებად გარდა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდისა, უნდა ხდებოდეს სასკოლო შეფასებების გათვალისწინება, ნაწილი საატესტატო და მისაღები გამოცდების გაერთიანებაზე საუბრობს, ზოგს კი მიაჩნია, რომ საატესტატო გამოცდები უნდა იყოს საშვი უნივერსიტეტში მისაღებად, თუმცა, ქართულ რეალობაში ამას გამორიცხავენ

განათლების ექსპერტი, შალვა ტაბატაძე, ჟურნალ ლიბერალის სტატიაში განიხილავს მისეულ ხედვას უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა მიღებასთან დაკავშირებით და გამოყოფს 3 ინსტრუმენტს, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ერთდროულად უმაღლეს სასწავლებლებში მიღების სისტემა. ***„საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში მიღების სისტემა შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ინსტრუმენტს დაეფუძნოს და შესაბამისად მოხდეს სასკოლო თუ უმაღლესი განათლების სისტემებისთვის ინსენტივების შექმნა. მიგვაჩნია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების სისტემა ერთდროულად 3 ინსტრუმენტს უნდა ეფუძნებოდეს: 1.საშუალო სკოლის საფეხურის (10-12 კლასები) ნიშნები (GPA) და სკოლის საატესტატო გამოცდების შედეგები; 2.ზოგადი უნარების სტანდარტიზებული ტესტი; 3.უმაღლესი სასწავლებლების მიერ დადგენილი დამატებითი კრიტერიუმები.“***(ტაბატაძე, 2012).

განათლების სფეროს წარმომადგენელი, სკოლის დირექტორი გია მურღულია კი Aris.ge განათლებასთან ინტერვიუში სასკოლო და მისაღები გამოცდების გაერთიანებაზე საუბრობს და ამ გზით ზოგადი განათლების ხარისხის მნიშვნელობის გაზრდაზე საუბრობს. ***„მე მხარი დავუჭირე გამოცდების გაერთიანების იდეას თავის დროზე. უმაღლესი განათლების კარს უნდა ხსნიდეს ის სასკოლო ცოდნა, რომელიც დადასტურებული იქნება შესაბამისი დოკუმენტით. ჩემი აზრით, ეს წინადადება პოზიტიურად უნდა შეფასდეს შემდეგი არგუმენტების გამო: უფრო მეტად ამაღლდება ზოგადი განათლების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სტატუსი. გაიზრდება***

ზოგადი განათლების ხარისხის მნიშვნელობა. ამაღლდება სკოლების პასუხისმგებლობა განათლების ხარისხზე. მოიხსნება ორი – საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდის ურთიერთმიმართებისა და თავსებადობის საკმაოდ მტკივნეული პრობლემა". (ხუხია,2015).

საინტერესო განსახილველია ერთ-ერთი დირექტორის მიერ გამოხატული მოსაზრება. მას მიაჩნია, რომ საატესტატო გამოცდების ობიექტურად ჩატარების შემთხვევაში, სკოლის შეფასებებთან ერთად საატესტატო გამოცდების შეფასებები უნდა იყოს მოსწავლისთვის საშვი უმაღლეს სასწავლებელში მისაღებად: *„თუ იქნება ეს გამოცდები მისაღები საზოგადოებისთვის და ნამდვილად ობიექტური გამზომი მოსწავლეების ცოდნის, გარდა ამისა საატესტატო გამოცდების ქულებსა და სასკოლო ქულებს ერთად შეჯამებულს ექნება ნდობა საზოგადოების, სამინისტროსა და მთავრობის მხრიდან, მაშინ ასეთი შეფასებით მოსწავლე პირდაპირ უნდა წავიდეს უმაღლეს სასწავლებელში."*

შეკითხვაზე, როგორ ფიქრობთ, სკოლაში მასწავლებელთა შეფასებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსწავლის უმაღლესში მოსახვედრად, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ იყო გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლის გამოსაშვები გამოცდები უნდა ყოფილიყო მთავარი საშუალება უნივერსიტეტში შესასვლელად, თუმცა ამ მოდელზე მუშაობისას აღმოჩნდა ისეთი სერიოზული პრობლემები, რომლის დაძლევაც ვერ მოხერხდა. *„ეს იყო 2000 სკოლის ისე გაკონტროლება, როგორც ეხლა 20 საგამოცდო ცენტრს ვაკონტროლებთ, ვერავინ რომ ვერ გადაიწეროს და ვერავინ რომ ვერავის მიეხმაროს. ეს უბრალოდ აღუსრულებადი აღმოჩნდა ჩვენი რესურსებით. ევროპაში სხვა მენტალიტეტია, სხვაგვარი დამოკიდებულებაა სწავლისადმი, ჩვენთან ძალიან განსხვავებული მიდგომებია. ადამიანები მიეჩვივნენ იმას, რომ უწესობა კარგ ტონად ითვლებოდა, ის, რომ წესს არ უნდა დაემორჩილო ეს რამის ნორმად იქცა, მიხმარებაც და უკანონობაც*

რამის წესად იქცა, განსაკუთრებით გამოცდებზე. ამიტომ საშინელება ხდებოდა.“ აქვე აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა არ არის მზად კვალიფიციურად შეაფასოს მოსწავლეები. საერთოდ კი, ცხადია უმაღლესში მოსახვედრად გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მიერ განვლილი 12 წლიანი გზა, მისი ფორმალური და არაფორმალური აქტივობების ჩათვლით. *„ეს ძალიან ადრეა, იმიტომ რომ ეს რომ გააკეთო, ამისთვის უნდა გქონდეს შესაბამისი დონე სკოლაში. ეხლა საზოგადოება სკოლას სამწუხაროდ არ ენდობა. სკოლაში კარგი კადრების აუცილებლობაა საჭირო. ამ შემთხვევაში სკოლაში ნდობა გაიზრდება და მაშინ შესაძლებელი იქნება უნივერსიტეტში სკოლის ნიშნებით ჩარიცხვა.“*

ეს ამონარიდი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის ინტერვიუდან კარგად ასახავს იმ დამოკიდებულებას, რომელსაც კვლევის მონაწილეების უმრავლესობა იზიარებს.

აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს და კიდევ უფრო ამყარებს სკოლის უნდობლობის ფაქტს თავისი მოსაზრებით ერთ-ერთი მასწავლებელი: *„სკოლა გადაიქცევა კორუფციის ადგილად. ამის მწარე გამოცდილება ჩვენ უკვე გვქონდა და უკან დაბრუნება დიდი დანაშაული იქნება.“*

რესპოდენტთა გარკვეული ნაწილის მიერ გამოხატულია საპირისპირო მოსაზრებები. ისინი თვლიან, სკოლის შეფასებები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული უნივერსიტეტში ჩასარიცხად. რესპოდენტები ამაში რისკ ფაქტორებს ვერ ხედავენ. *„უარყოფითი ვერ წარმომიდგენია. პირიქით, დადებითია რომ გაითვალისწინო შენი სტუდენტი რას აკეთებდა შენამდე, რა უნარები აქვს განვითარებული, რა დიპლომები აქვს აღებული, რამდენად აქტიურად იყო სასკოლო ცხოვრებაში ჩართული, იმიტომ რომ შემდეგ ეს განაპირობებს შემდგომში მის აქტიურ ჩართვას უნივერსიტეტში. მე მგონია რომ აუცილებელი უნდა იყოს და არ უნდა წყდებოდეს კავშირი სკოლასა და*

უმაღლესს შორის. სკოლიდან უნდა მიყვებოდეს რაღაც და ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ეს იქაც წაადგება.“-ამონარიდი დირექტორის ინტერვიუდან.

ერთ-ერთ დირექტორს გერმანიის მაგალითი მოჰყავს სასკოლო შეფასებების გათვალისწინებაზე. ის ამბობს, რომ სასკოლო შეფასებები იქ გასათვალისწინებელია სამსახურში მოწყობაზეც, აქედან გამომდინარე მიაჩნია, რომ სასკოლო შეფასებებისთვის მნიშვნელობის მინიჭება სასურველია, თუმცა არა დღევანდელ ქართულ რეალობაში. ***„გერმანიის მაგალითზე თუ ვიტყვით, იქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასკოლო დახასიათებას სამსახურში მოწყობაზე. პირობითად, თუ იქ დაუწერეს ის, რომ ხშირად აცდენდა სკოლას, ჰქონდა ექსტერნის გამოცდები (ამას ჩვენ სისტემაზე მორგებით ვამბობ), რა თქმა უნდა მას ძალიან გაუჭირდება სამსახურში მოწყობა.“***

რესპოდენტთა ინტერვიუების საფუძველზე გამოიყოფა სხვადასხვა მოსაზრებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა ამ ეტაპზე სკოლის შეფასებების გამოყენებას ქართულ რეალობაში არასამართლიანად მიიჩნევს.

3.6. ხედვები ანგარიშვალდებულებასა და განათლების ხარისხთან დაკავშირებით

2009 წლის პოლიტიკის ანგარიშში, „**ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში**“, განათლების ექსპერტი, სიმონ ჯანაშია განმარტავს, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდების შედეგები ვერ ასახავს სკოლაში სწავლების ხარისხს და სწავლების ხარისხის მნიშვნელოვან მექანიზმად ასახელებს სკოლების ეფექტურ მართვას და ასევე საზოგადოებისა და სკოლის ურთიერთობას. ***„ხარისხის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია საზოგადოების და სკოლის ურთიერთობა.“***(ჯანაშია, 2009).

სწავლების ხარისხის გაზომვისას განათლების ექსპერტს, თამარ ჯაყელს, ჟურნალ ლიბერალის სტატიაში, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ დევიდ პერკინსის ხარისხიანი განათლების განმარტება მოჰყავს, რაც გულისხმობს ***„მოსწავლისათვის იმგვარი ცოდნის მიცემას, რომელსაც ისინი შეინარჩუნებენ, გაიაზრებენ და აქტიურად გამოიყენებენ.“*** (ჯაყელი, 2013).

კვლევაში მონაწილე რესპოდენტების უმრავლესობა კი მიიჩნევენ, რომ საატესტატო გამოცდების მოსამზადებლად მიღებული ცოდნა არ არის ხარისხიანი, მოსწავლეები ძირითადად გამოცდების ჩასაბარებლად სწავლობენ და მათთვის უინტერესო ინფორმაცია მალევე ავიწყდებათ. შესაბამისად, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა, რომ საატესტატო გამოცდები არ არის სწავლების ხარისხისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

შეკითხვაზე, საატესტატო გამოცდები რამდენად ზომავდა განათლების ხარისხს სკოლებში და კონკრეტულად მოსწავლეთა მიღწევებს, ცოდნასა და უნარებს, მასწავლებელთა და დირექტორთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საატესტატო გამოცდები ვერ ზომავდა განათლების ხარისხს და მოსწავლის კომპეტენციას. ისინი ამბობენ, რომ რომელი მოსწავლეც ყოველთვის მოწესრიგებული მოდიოდა და დარწმუნებულები იყვნენ, საუკეთესო შედეგს დადებდა, უმეტეს შემთხვევაში იმედგაცრუებული რჩებოდნენ და მოსწავლე, რომელიც არ გამოირჩეოდა მაღალი ცოდნით და უნარებით შეეძლო ანალოგიური შედეგი დაედო. გარდა ამისა, ეს იყო უფრო ცალმხრივი შეფასება, რომელიც გარკვეული ფაქტობრივი ცოდნის, ან არ ცოდნის ან შესაძლოა ამის შემოწმებასაც ვერ ახდენდა. 21-ე საუკუნეში მხოლოდ რა ვიცი, რა დავიმახსოვრე, ან ვერ დავიმახსოვრე არ არის საკმარისი. ***„დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ფორმით ჩატარებული საატესტატო გამოცდები ნამდვილად ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურ გაზომვას, მით უფრო ვერ გამოდგებოდა მოსწავლეთა***

უნარების შესაფასებლად.“ - აღნიშნავს ერთ-ერთი მასწავლებელი.

ზოგი ამბობს, რომ ზოგადად გამოცდა ვერ ზომავს განათლების ხარისხს, უნარებსა და შესაძლებლობებს. გამოცდა შეიძლება იყოს ინსტრუმენტი, რომელიც გაზომავს გარკვეულ შედეგებს. ***„კატის გამოცდები საერთოდ ვერ ზომავდა განათლების ხარისხს. გამოცდა ვერაფერს აკეთებს. გამოცდა შეიძლება იყოს ინსტრუმენტი, რომელიც გაზომავს არსებულ შედეგებს, როდესაც რაღაც შედეგზე ვართ გასულები, რამდენად სწორად მივდივართ. ეს შეიძლება პულსზე ხელის დასადებად გამოვიყენოთ და არა იმისთვის, რომ ამით შედეგი დავდოთ. ამით შედეგს ვერ დავდებთ.“***

მხოლოდ რამოდენიმე რესპოდენტი თვლის, რომ ეს გამოცდები ზომავდა განათლების ხარისხს, მოსწავლეთა მიღწევებსა და ცოდნას. ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს, რომ იყო ყველანაირი სირთულის საკითხები, რაც ამოწმებდა მოსწავლის შესაბამის კომპეტენციას. ***„სატესტატო გამოცდები ყველა დონის ცოდნის შესაბამისად იყო გათვლილი. კითხვარები სხვადასხვა სირთულის შესაბამისად ისმებოდა გაცემული პასუხების ადეკვატურად. ამოცანათა ბანკი 3 სახედ იყოფოდა (სუსტი, საშუალო და რთული), შესაბამისად დგინდებოდა მოსწავლის კომპეტენცია.“***

რამოდენიმე რესპოდენტის მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომლის თანახმადაც კატის გამოცდები იყო დასახვეწი და მეტ-ნაკლებად ამოწმებდა განათლების ხარისხს: ***„ვფიქრობ, კატის სისტემა გასამართი იყო და ჰქონდა ხარვეზები, მაგრამ სულ არაფერს ჯობდა. საჭირო იყო მისი დახვეწა და არა გაუქმება.“***

შეკითხვაზე, როგორი უნდა იყოს თქვენი ხედვით განათლების დონის შეფასების მოდელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განსხვავებული მოსაზრებებია გამოხატული რესპოდენტთა მიერ.

რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ განათლების დონის შეფასება ძალიან სუბიექტური და ზოგადად ძალიან რთული პროცესია. იმისათვის რომ

მოსწავლე სწორად შეფასდეს, საკმაოდ ბევრი უნდა იმუშაონ სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციებმა. უნდა ჩამოყალიბდეს სამართლიანი და ობიექტური შეფასების მოდელი. მათი აზრით, ჩამოსაყალიბებელია ობიექტური და სანდო შეფასების კრიტერიუმები. დასატრენინგებლები არიან მასწავლებლები, რათა მათ დანერგონ შესაბამისი შეფასების სისტემა.

***„მე ვფიქრობ, გამოცდები უნდა იყოს ყველა საფეხურზე. სადიაგნოსტიკო ხასიათის და შიდა სასკოლო. წლის განმავლობაში უნდა ტარდებოდეს სადიაგნოსტიკო წერები, რომელთაც მასწავლებელი გამოიყენებს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისთვის.“*- აღნიშნავს ერთ-ერთი მასწავლებელი.

ზოგს ქულებით შეფასება მიაჩნია საუკეთესო მოდელად. ***„ჩემთვის ქულებით შეფასება მისაღებია, რადგან ყველაფერს სჭირდება ობიექტური შეფასება, ეს კი ქულებით ყველაზე მოსახერხებელია.“***

ნაწილი მიიჩნევს, რომ დაწყებით საფეხურზე შეიძლება იყოს განმავითარებელი, საბაზოზე განმსაზღვრელი და საშუალო საფეხური-აუცილებლად ქულების საშუალებით უნდა ფასდებოდეს და ასევე გამოცდის სახითაც.

ძალიან საინტერესო და პოზიტიური, განსხვავებული შეფასება გამოთქვა ერთ-ერთმა სკოლის დირექტორმა. მას მიაჩნია რომ ისეთი განათლების დონის შეფასების მოდელი უნდა შეიქმნას, რომ ადამიანი იყის რეალიზებული, რასაც მოაქვს ბედნიერება: ***„უნიფიცირებული ფორმა არცერთ ქვეყანას არ აქვს. რადგანაც ადამიანი ზოგადად მრავალმხრივია, მრავალი უნარი და ნიჭი შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ ორიენტირებულები უნდა ვიყოთ, რომ ის თვითრეალიზებადი გახდეს. რეალიზებას დიასახლისობაში ნახავს, თუ ფიზიკოსობაში ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია იყოს რეალიზებული. რეალიზებას მოაქვს ბედნიერება. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ამას. უნდა შევქმნათ ისეთი მოდელი, რომ ბედნიერი იყოს საბოლოო ჯამში ადამიანი.“***

შეკითხვაზე, როგორ არის შესაძლებელი სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, რესპოდენტები საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამენ. განათლების სფეროს წარმომადგენელების განმარტებით, სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად პირველ რიგში აუცილებელია სისტემური ცვლილებები. ერთ-ერთმა რესპოდენტმა მისი ხედვით დანახული ხარისხის გასაუმჯობესებელი ფორმულა წარმოადგინა: ***„მასწავლებელი + ადმინისტრაცია + რესურსები + ინფრასტრუქტურა + მშობლები + მონიტორინგი და გარე შეფასება.“***

საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს ერთ-ერთი დირექტორი და მიიჩნევს, რომ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელი ფორმულა არ არსებობს. ასახელებს გარკვეულ კრიტერიუმებსა და ინსტრუმენტებს, რომელთა სწორად ამუშავების საფუძველზე შესაძლებლად მიაჩნია ხარისხის გაუმჯობესება. ***„ამის მზა ფორმულა რომ არსებობდეს ძალიან კარგი იქნებოდა. ამისთვის საჭიროა მოტივაცია, მოსწავლის დაინტერესება. მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი არის მშობელი, მშობლის სწორი ხედვის ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია. მშობელმა უნდა დაინახოს განათლების საჭიროება. მასწავლებლის ობიექტური შეფასება და მოსწავლის მიერ ცოდნა იმისა, რა არის განმსაზღვრელი სწავლების პროცესში, მამოტივერებელი იქნება მოსწავლის პრობლემების გამოსწორებისა. მოსწავლეებმა პრობლემები შესაძლებლობებად უნდა გარდაქმნან. ამ სამი რგოლის: მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის საერთო სწორი ხედვა გააუმჯობესებს განათლების ხარისხს.“***

სწავლების გასაუმჯობესებელ ინსტრუმენტებად რესპოდენტთა მიერ დასახელებულია: შესაბამისი კურიკულუმი, შესაბამისი სახელმძღვანელოები, პედაგოგების კვალიფიკაცია, სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა და კლიმატი, საგანმანათლებლო დაწესებულების მზაობა და მიმღებლობა

ცვლილებებისათვის. მათ მიაჩნიათ, რომ თუ ეს ყველაფერი მეტნაკლებად თავმოყრილია, თუ მზაობა მაინც არის იმისთვის, რომ ეს ყველაფერი იყოს, მაშინ ძალიან დიდი შედეგი დაიდება ხარისხის გასაუმჯობესებლად. თუ ეს არ არის, მაშინ ხარისხი ვერ გაუმჯობესდება.

ზოგ რესპოდენტს მიაჩნია, რომ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად მთავარ რგოლს წარმოადგენენ კვალიფიციური მასწავლებლები: ***„ჩემთვის კარგი სკოლა უპირველეს ყოვლისა კარგი მასწავლებელია თავისი პროფესიონალიზმითა და მორალური ღირებულებებით“.*** -ამონარიდი ერთ-ერთი მასწავლებლის ინტერვიუდან. მოსაზრებას ამყარებს და სხვა დამატებით ხარისხის გასაუმჯობესებელ კრიტერიუმებს ამატებს ერთ-ერთი მასწავლებელი: ***„შესაცვლელია სახელმძღვანელოები, კლასები მრავალრიცხოვანია და უსათუოდ უნდა შემცირდეს, მასწავლებელთა კვალიფიკაცია მაინცდამაინც არ არის სახარბიელო, სკოლა აუცილებლად უნდა გაიწმინოს არაკვალიფიციური კადრებისგან, პროფესიონალები უნდა დარჩნენ. აუცილებელია შეგნებული დისციპლინა, დამატებითი აქტივობები, არაფორმალური განათლება. ყველა ეს ცვლილება გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს.“***

რესპოდენტებს პოზიტიური მოლოდინები აქვთ ესგ-ში დაგეგმილი ცვლილებების შედეგად. ***„როგორც ცნობილია სასწავლო გეგმების ცვლილება დაწყებულია და ესეც რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი იქნება სწავლების ხარისხის გასაზრდელად. ვფიქრობ, ეს აუცილებლად პროგრესული უნდა იყოს.“*** -არნიშნავს ერთ-ერთი მასწავლებელი.

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ რესპოდენტებს ცვლილებების დაგეგმვისას სწორად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ პირველ რიგში გამოიკვლის რა დაკვეთა აქვს საზოგადოებას და მეორე, როდესაც რეფორმები ხორციელდება, შედეგები უნდა გაიზომოს ჯერ. ***„ახალ რეფორმებს ბაბილონის გოდოლივით აგებენ და მერე კოშკებივით***

ჩამოგვემსხვრევახოლმე თავზე, იმიტო ვერაფერს ვერ ვაღწევთ.“ - აღნიშნავს ერთ-ერთი პედაგოგი.

დასკვნა

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევითი ნაწილის ანალიზმა საინტერესო დამოკიდებულებები აჩვენა კვლევით ნაწილში განხილულ კვლევის ამოცანებთან დაკავშირებით.

- **საატესტატო გამოცდები - შეფასების მექანიზმი**

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებისა საატესტატო გამოცდების გაუქმების შესახებ, რესპოდენტთა უმრავლესობა გამოცდების გაუქმების შემდეგ მაინც საუბრობს გამოცდების აუცილებლობაზე, თუმცა არა იმ ფორმატით, რა ფორმატითაც ტადებოდა საატესტატო გამოცდები საქართველოში, რადგან წინარე გამოცდები არ იყო თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან.

საატესტატო გამოცდების, როგორც შეფასების მექანიზმზე საუბრისას განხილულია საატესტატო გამოცდების მიზანი. ინტერვიუერთა უმრავლესობა საატესტატო გამოცდების მიზანად ეროვნული სასწავლო გეგმით

გათვალისწინებული საგნობრივი ცოდნის შემოწმებას ასახელებს. ასევე განხილულია სხვადასხვა მოსაზრებები მხოლოდ საატესტატო გამოცდების შედეგების საფუძველზე ატესტატის გაცემასთან დაკავშირებით, რაც უმრავლესობის მიერ არ არის სამართლიანად მიჩნეული, რადგან საატესტატო გამოცდები არ იყო სკოლაში მიღებული ცოდნისა და უნარების ლოგიკური შეჯამების საშუალება.

საატესტატო გამოცდების დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრისას რესპოდენტების უმრავლესობა ადასტურებს თავიდან ყველა რგოლის პოზიტიურ განწყობასა და შემართებას, თუმცა შემდეგ პრაქტიკაში აღმოჩენილ ამ საგამოცდო ფორმატის უსარგებლობაზეც საუბრობენ და 2011-2018 წლებში არსებული საატესტატო გამოცდები განსაკუთრებული შედეგის მოტანით არ ხასიათდება ზოგადად განათლების სისტემისთვის. აღნიშნულთან დაკავშრებით საპირისპირო დამოკიდებულებები ვლინდება საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგთა მიერ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საატესტატო გამოცდების არსებობის პერიოდში მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც მეტად მოტივირებულები იყვნენ და სწავლის შედეგებიც უკეთესი იყო.

- **საატესტატო გამოცდები და სასწავლო პროცესი**

კვლევაში მონაწილე რესპოდენტების ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ 2011 წლიდან 2018 წლის ჩათვლით შედეგები მკვეთრად არც გაუმჯობესებულა და არც გაუარესებულა. შედეგების შეფასებისას განსხვავებული ვითარება შეიმჩნევა თბილისისა და რეგიონის სკოლებში. თბილისში უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა შედეგები ძირითადად იყო საშუალო, საშუალოზე მაღალი და საუკეთესო. რეგიონებში კი - ძირითადად კარგი და დამაკმაყოფილებელი. განსხვავებული ვითარებაა საატესტატო გამოცდების შედეგების თვალსაზრისით ორსექტორიან სკოლებში. როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ ქართულ

სექტორში ჩაჭრილები არ ჰყავდათ, თუმცა სხვა მდგომარეობა იყო ამ კუთხით არაქართულ სექტორებზე.

უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საატესტატო გამოცდები სასკოლო დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებას ხელს უშლიდა, რადგან საატესტატო გამოცდების პირობებში აქცენტი უფრო მეტად კეთდებოდა ფაქტობრივ მასალაზე, ვიდრე მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, რაც თავითავად წინააღმდეგობაში მოდიოდა ესგ - თან.

- **საატესტატო გამოცდები და რეპეტიტორობის ინსტიტუტი**

უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტთა მიერ რესპეტიტორობის ინსტიტუტის დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრისას გამოიკვეთა კარგი და ცუდი მოსაზრებებიც აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ. რაც შეეხება კავშირს საატესტატო გამოცდებსა და რეპეტიტორობას შორის, მიიჩნევა რომ საბუნებისმეტყველო საგნებში რეპეტიტორების რაოდენობა ნამდვილად გაიზარდა საატესტატო გამოცდების პერიოდში, თუმცა სხვა საგნებში, რომლებიც ბავშვებს ისედაც სჭირდებათ მისაღები გამოცდებისთვის რეპეტიტორებთან სიარული ბავშებს არ შეუწყვეტიათ და შესაბამისად არც შესუსტებულა და არც გაძლიერებულა რეპეტიტორთა ინსტიტუტი.

- **მოსაზრებები საატესტატო გამოცდების გაუქმების დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით**

გამოცდების გაუქმების **დადებით მხარეებად** სახელდება:

- ✓ მოსწავლისთვის სტრესული სიტუაციის თავიდან არიდება;
- ✓ სახელმწიფოსთვის და მშობლისთვის-მატერიალური რესურსების დაზოგვა;
- ✓ მასწავლებლისთვის სტიმულის და შესაძლერბლობის მიცემა - შეძლებისდაგვარად შემოქმედებითად საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის და ესგ-ს განხორციელების

ნეგატიურ მხარედ სახელდება:

- ✓ მოსწავლეთა პასუხისმგებლობის შემიცირება;
- ✓ უარყოფითი გავლენა მოსწავლის შედეგებზე და შეფასებაზე (მასწავლებლები გამოცდების პერიოდში მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ შეფასების პროცესს წლიური შეფასებისა და კატის გამოცდების შეფასების თანხვედრის გამო).

თუმცა, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გამოცდების გაუქმება მოსწავლის შედეგებზე არანაირ გავლენას არ მოახდენს.

- **საატესტატო გამოცდები და სასკოლო შეფასებები - უმაღლესში მოხვედრის შესაძლებლობა**

უმრავლესობის მიერ სკოლის შეფასებების გამოყენება უნივერსიტეტში მისაღებად ამ ეტაპზე ქართულ რეალობაში არ არის სამართლიანად მიჩნეული. ამის მიზეზებად სახელდება: სკოლაში შესაბამისი დონის არ ქონა და კორუფცია.

თუმცა ნაწილი საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებს, რისკ ფაქტორებს არ განიხილავს. ამ ფაქტში დადებითის გარდა ვერაფერს ხედავენ და მიაჩნიათ, რომ არ უნდა წყდებოდეს კავშირი სკოლასა და უმაღლესს შორის.

- **ხედვები ანგარიშვალდებულებასა და განათლების ხარისხთან დაკავშირებით**

რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საატესტატო გამოცდები ვერ ზომავდა განათლების ხარისხს სკოლებში და კონკრეტულად მოსწავლეთა მიღწევებს, ცოდნასა და უნარებს. მხოლოდ რამოდენიმე რესპოდენტის მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომლის თანახმადაც კატის გამოცდები იყო დასახვეწი და მეტ-ნაკლებად ამოწმებდა განათლების ხარისხს.

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია სასკოლო ცხოვრების დასასრულს არსებობდეს შემაჯამებელი აქტივობები, შედეგების დასათვლელი. სასურველია, თუ გამოცდების სხვა ფორმა იქნება შემუშავებული, რომელიც უფრო რეალურად იმუშავებს და შედეგის მომცემი იქნება;
- სასურველია არა მხოლოდ საატესტატო, არამედ, შიდასასკოლო საფეხურებრივი, ან ყოველწლიური გამოცდების ჩაბარება;
- სასურველია ატესტატის ასაღებად რაღაც წილი იყოს გამოცდები და რაღაც წილი მთელი 12 წლის შედეგები კომბინირებულად. გარდა

ამისა, მნიშვნელოვანია პორტფელიოების არსებობა და მოსწავლის ყველა აქტივობის გათვალისწინება;

- რეკომენდირებულია სახელმწიფოს მხრიდან მოსწავლეთა გაცდენების 30%-იანი ზღვარის გაუქმება მოსწავლეთა დასწრების პრობლემის გადასაჭრელად, რადგან როგორც კვლევამ აჩვენა, არც საატესტატო გამოცდებზეა დამოკიდებული მათი სიარული და არსიარული და არც სკოლაზე. ეს მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლებას აძლევს სამინისტრო მოსწავლეს;
- მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო დონეზე გახდეს სავალდებულო სკოლის ხელმძღვანელებმა რეგულარულად ზომონ შედეგები და ასევე მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის მონიტორინგის გარე სისტემის არსებობა, რომელიც შეაფასებს იმას, თუ რა ხდება გაკვეთილზე და რამდენად შედეგზე ორიენტირებულია პედაგოგი;
- მნიშვნელოვანია მოსწავლის სწორად შესაფასებლად სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციების მიერ საკმაოდ ბევრი მუშაობა სამართლიანი და ობიექტური შეფასების მოდელის ჩამოსაყალიბებლად.
- აუცილებელია სისტემური ცვლილებები სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ასევე შესაბამისი კურიკულუმი, შესაბამისი სახელმძღვანელოები, პედაგოგების კვალიფიკაცია, სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა და კლიმატი, საგანმანათლებლო დაწესებულების მზაობა და მიმღებლობა ცვლილებებისათვის.
- საჭიროა ცვლილებების დაგეგმვისას სახელმწიფომ პირველ რიგში გამოიკვლის რა დაკვეთა აქვს საზოგადოებას და მეორე, როდესაც რეფორმები ხორციელდება, შედეგები უნდა გაიზომოს ჯერ.

გამოყენებული ლიტერატურა

დუმბაძე, ლ. (თებერვალი, 2019). შალვა ტაბატაძე - უხერხულია რეფორმა დავარქვა იმ პრეზენტაციას, რაც სამინისტრომ წარმოადგინა, მოძიებულია 25.03.2019:https://batumelebi.netgazeti.ge/news/180706/?fbclid=IwAR35CAPc1XGT4e63pplVEbdMl

ზაკაშვილი, ლ. (მარტი, 2019) ეს არის რეფორმა ვითომ აკეთებ და რეალურად არაფერს აკეთებ - ტაბატაძე განათლების სფეროში

ცვლილებებზე, მოძებულია 15.03.2019: http://liberali.ge/articles/view/43092/es-ar-aris-reforma-vitom-aketeb-da-re

ზურაბიშვილი თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*

მაჩაბელი გ, *განათლების სახელმწიფო პოლიტიკა და რეფორმების სტრატეგიული დაგეგმვა*. თბილისი, 2019.

მჭედლიშვილი, ნ. (მაისი, 2011). საქართველოში გამოსაშვები გამოცდები დაიწყო. მოძიებულია 12.02.2019: https://www.radiotavisupleba.ge/a/24183285.html

სკოლის გამოსაშვები და ეროვნული გამოცდები. რა სიახლეებს გეგმავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი? (მარტი,2019). მოძებულია 23.04.2019: https://fortuna.ge/fortuna/post/skolis-gamosashvebi-da-erovnuli-gamocdebi-ra-siakhleebs-gegmavs-shefasebisa-da-gamocdebis-erovnuli-centri

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის №87/ნ ბრძანება სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №48/ნ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ს/კ 430190000.22.022.017711

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №48/ნ ბრძანება სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ ს/კ 430190000.22.022.016087

ტაბატაძე, შ. (ნოემბერი, 2012). საატესტატო და მისაღები გამოცდები საქართველოში. მოძიებულია 23.12.2018:http://liberali.ge/articles/view/2753/saatestato-da-misaghebi-gamotsdebi-saqartveloshi

ჩადუნელი, ს. (იანვარი, 2019). მასწავლებლები, ექსპერტები, პოლიტიკოსები - ვინ რას ფიქრობს გამოცდების ახალ მოდელზე. მოძიებულია 23.01.2019: https://on.ge/story/33051-12

ჩახაია ლ, *სკოლის გამოსაშვები გამოცდები და ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში (კვლევის ანგარიში).* მომზადებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის, 2019.

წივწივაძე, ე. (ივნისი, 2015). რამდენ კითხვაში შეგვიძლია დავასრულოთ CAT-ის ტესტი?! მოძიებულია 14.03.2019: https://edu.aris.ge/news/ramden-kitxvashi-shegvidzlia-davasrulot-cat-is-testi.html

წივწივაძე, ე. (ივლისი, 2014) რაში გვჭირდება 12 ცენტრალიზებული გამოცდა?! - საზოგადოება ამ კითხვას მალე დასვამს, მოძებულია 12.01.2019:https://edu.aris.ge/news/rasi-gvwirdeba-12-centralizebuli-gamocda-sazogadoeba-am-kitxvas-male-dasvams.html

ხუხია, გ. (თებერვალი, 2015). ექსპერტები საატესტატო და მისაღები გამოცდების გაერთიანებაზე, მოძიებულია 24.04.2019:https://edu.aris.ge/news/eqspertebi-saatestato-da-misagebi-gamocdebis-gaertianebaze-ramdenad-efeqturi-iqneba-cvlileba.h

ჯანაშია, ს. (2009) *ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში,* პოლიტიკის ანგარიში.

ჯანაშია, ს.(იანვარი, 2019) კარგია თუ ცუდი საატესტატო გამოცდების გაუქმება? მოძიებულია 21.02.2019:https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%99%E1

ჯაყელი, თ. (ივნისი,2013) სტანდარტიზებული ტესტირება ხარისხიანი განათლების წინააღმდეგ. მოძიებულია 25.04.2019: http://liberali.ge/articles/view/3241/standartizebuli-testireba-khariskhiani-ganatlebis-tsinaaghmdeg

2020 წლიდან სკოლაში გამოსაშვები გამოოცდები გაუქმდება (იანვარი, 2019). მოძიებულია 30.01.2019: https://sputnik-

georgia.com/society/20190128/244083931/2020-wlidan-skolebshi-gamosashvebi-gamocd

Bishop J.H, (1999). *Are National Exit Exams Important for Educational Efficiency.* Swedish Economic Policy Review 6:2, Fall 1999.

BURNHAM A. (2013). *An Introduction to Managing Research Data for Researchers and Students*

Holme J.J, Meredith P. Richards, Jo Beth Jimerson, Rebecca W. Cohen (2010). *Assessing the Effects of High School Exit Examinations.* Review of Educational Research, Vol. 80, No. 4, pp. 476–526 , December 2010

Jürges H, Büchel F, Schneider K, (2005). *THE EFFECT OF CENTRAL EXIT EXAMINATIONS ON STUDENT ACHIEVEMENT: QUASI-EXPERIMENTAL EVIDENCE FROM TIMSS GERMANY .Journal of the European Economic Association*, Volume 3, Issue 5, 1 September 2005, .

Jürges H, Schneider K,(2010). *Central exit examinations increase performance… but take the fun out of mathematics.* Journal of Population Economics. Volume 23, Issue 2, pp 497-517. March 2010.

Stephen P. Heyneman, (2008). *The Importance of External Examination In Education.*

დანართი №1

№	სკოლა	თანამდებობა
1	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N1საჯარო	დირექტორი

	სკოლა	
2	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	ფიზიკის მასწავლებელი
3	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	გეოგრაფიის მასწავლებელი
4	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	ქიმიის მასწავლებელი
5	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	მათემატიკის მასწავლებელი
6	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	ბიოლოგიის მასწავლებელი
7	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
8	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა	დირექტორი
9	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა	ქიმიის მასწავლებელი
10	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა	ბიოლოგიის მასწავლებელი
11	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა	ფიზიკის მასწავლებელი
12	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა	დაწყებითი კლასის მასწავლებელი
13	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
14	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა	ხელოვნების მასწავლებელი
15	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა	სასწავლო ნაწილი
16	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლა	დირექტორი
17	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლა	მათემატიკის მასწავლებელი
18	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა	სასწავლო ნაწილი
19	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

20	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღალნოს საჯარო სკოლა	ინგლისური ენის მასწავლებელი
21	სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოყოლოს საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
22	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის საჯარო სკოლა	ინგლისური ენის მასწავლებელი
23	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის საჯარო სკოლა	ფიზიკის მასწავლებელი
24	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთის საჯარო სკოლა	ინგლისური ენის მასწავლებელი
25	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთის საჯარო სკოლა	მათემატიკის მასწავლებელი
26	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა	ინგლისური ენის მასწავლებელი
30	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	დირექტორი
31	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	დაწყებითი კლასის მასწავლებელი
32	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	ქიმიის მასწავლებელი
33	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	ფიზიკის მასწავლებელი
34	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა	ბიოლოგიის მასწავლებელი
35	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეძის საჯარო სკოლა	დირექტორი
36	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეძის საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
37	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეძის საჯარო სკოლა	ფიზიკის მასწავლებელი
38	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეძის საჯარო სკოლა	ინგლისური ენის მასწავლებელი
39	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა	დირექტორი
40	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
41	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ	გეოგრაფიის

	ატოცის საჯარო სკოლა	მასწავლებელი
42	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა	დაწყებითი კლასის მასწავლებელი
43	სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალანთას საჯარო სკოლა	დირექტორი
44	სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალანთას საჯარო სკოლა	დაწყებითი კლასის მასწავლებელი
45	სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალანთას საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
46	სსიპ წალკის რაიონის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლა	ინგლისური ენის მასწავლებელი
47	სსიპ წალკის რაიონის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
48	სსიპ ქალაქ რუსთავის N12 საჯარო სკოლა	ინგლისური ენის მასწავლებელი
49	სსიპ ქალაქ რუსთავის N12 საჯარო სკოლა	ქიმიის მასწავლებელი
50	სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა	დირექტორი
51	სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა	ინგლისური ენის მასწავლებელი
52	სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა	ქიმიის მასწავლებელი
53	სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა	გეოგრაფიის მასწავლებელი
54	სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა	მათემატიკის მასწავლებელი
55	სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა	დაწყებითი კლასის მასწავლებელი
56	სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა	ისტორიის მასწავლებელი
57	სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა	ისტორიის მასწავლებელი
58	სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა	დირექტორი
59	სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
60	სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა	ქიმიის მასწავლებელი
61	სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა	ფიზიკის მასწავლებელი
62	სსიპ ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა	დირექტორი
63	სსიპ ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა	ბიოლოგიის

		მასწავლებელი
64	სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლა	დირექტორი
65	სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლა	სამოქალაქო განათლების მასწავლებელი
66	სსიპ ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლა	ინგლისური ენის მასწავლებელი
67	სსიპ ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
68	სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლა	ისტორიის მასწავლებელი
69	სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლა	ბიოლოგიის მასწავლებელი
70	სსიპ ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლა	დირექტორი
71	სსიპ ქალაქ თბილისის N174 საჯარო სკოლა	დირექტორი
72	სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისის საჯარო სკოლა	დირექტორი
73	სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანჯიგაზლოს საჯარო სკოლა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
74	სსიპ ქალაქ თბილისის N112 საჯარო სკოლა	დირექტორი
75	სსიპ ქალაქ თბილისის N11 საჯარო სკოლა	დირექტორი